ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 6 ოქტომბერი, 2009 №261 (5001) ფასი: 30 თეთრი

## ეროვნული ფორუმი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს

გვ.5



# გაჩეჩილაძე ახალ აქციებს იწყებს

## სააკაშვილი საქართველოს უნდა გაემიჯნოს!



გვ.2

ყველა სამართლიანი მეთოდით, მათ შორის ქუჩის აქციებითაც ვიბრძოლებთ, რომ სააკაშვილი გაიმიჯნოს საქართველოსგან. იდეა საქართველოსგან სააკაშვილის გამიჯვნის ყველას მოეწონება. ლიდერები არჩევნებზე გვჭირდება. ამჟამად კი მთავარი მიზანია საქართველოსგან სააკაშვილის გამიჯვნა. ამას ლიდერები არ სჭირდება, ამას მხოლოდ სულისკვეთება სჭირდება

## „დაიცავი საქართველო" დახმარებისთვის გიორგი ცაგარეიშვილს მიმართავს

გვ.4



## პენტაგონი საქართველოს არმიასთან თანამშრომლობას აგრძელებს გვ.2



## საქართველოს ხელისუფლების შეცვლის უფლება უნდა მიეცეს

გვ.6

სააკაშვილი საქართველოს მთლიანად დაშლის



## ადრე თუ გვიან რუსეთთან ლაპარაკი დაგვჭირდება

გვ.6



## ამ ხელისუფლებას კარგის გაკეთება არ შეუძლია

გვ.5

## კუშნერმა აღიარა, რომ რუსეთისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა არ მოუთხოვიათ გვ.3

## კონსერვატორები მზად არიან, ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნაში ჩაერთონ

გვ.2



## ბურჯანაძე სააკაშვილის წინააღმდეგ ახალ კოალიციას ქმნის

გვ.2



## ნოღაიდელის პარტია სააკაშვილს პასუხს სთხოვს

გვ.3



## პედაგოგები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან გვ.7

3 რატომ მიდის სააკაშვილი პარლამენტში

5 ხელისუფლება მომავალ წელს დაგეგმილი არჩევნებისთვის 25 მლნ ლარის დახარჯვას გეგმავს

3 ისანი-სამგორის რაიონში ახალი სახანძრო პუნქტი გაიხსნა

5 2010 წლის ბიუჯეტი რეალისტურად არის დაგეგმილი

# გაჩეჩილაძე ახალ აქციებს იწყებს

## სააკაშვილი საქართველოს უნდა გაემიჯნოს!

**მიტინგებით გადაღლილმა ოპოზიციამ შვებულებაში გასვლის წინ პირობა მოგვცა, შემოდგომაზე გავაქტიურდებითო. სექტემბერზე დიდი იმედები რომ არ დაგვემყარებინა, შეგვპირდნენ, როგორც კი ტალიავინი დასკვნას დადებს, მაშინვე გავაქტიურდებითო. ოპოზიციამ სხვა დანაპირები ვერა, მაგრამ ეს ნამდვილად შეასრულა. ტალიავინის აწ უკვე ავად სახსენებელი დასკვნა გამოქვეყნებულიც კი არ იყო, რომ ოპოზიცია გააქტიურდა.**

თეა მარხვაიძე

გააქტიურება ჯერჯერობით პრესკონფერენციებსა და განცხადებებს არ გასცდენილებია, მაგრამ ძალიან მალე ოპოზიცია შესაძლოა ისევ ქუჩაში გამოვიდეს. სააკაშვილის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნის ინიციატივით გამოვიდა გუშინ პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე. მისი იდეა რადიკალური ოპოზიციის ნაწილისთვის მისაღები აღმოჩნდა.

სააკაშვილის საწინააღმდეგო კოალიციის საწინააღმდეგო არაფერი აქვს საზოგადოებრივ მოძრაობას „დაიცავი საქართველო". ამ საკითხთან დაკავშირებით ისინი რაიმე გადაწყვეტილებას აუცილებლად მიიღებენ და როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, შეიძლება გაერთიანდნენ კიდევაც.

რა სახის იქნება ეს გაერთიანება, ჯერ ძალიან ძნელი სათქმელია. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისევ ერთიან ლიდერზე იქნება საუბარი. მართალია ხალხი ოპოზიციისგან ერთიან ლიდერს ითხოვს, მაგრამ ეს თამადამრავალ ოპოზიციურ სუფრაზე არ გამოვა.

ლევან გაჩეჩილაძე ოპოზიციის ლიდერად არავის აურჩევია, თუმცა, ხალხისთვის სწორედ ის არის ლიდერი. მის წინააღმდეგ უამრავი კამპანია ააგორეს. სააკაშვილთან ფარულ გარიგებაშიც დასდეს ბრალი. ამის მიუხედავად ის მაინც რეიტინგული ფიგურაა. და გაერთიანების შემთხვევაში ოპოზიცია სწორედ მას წარადგენს მერის თანამდებობაზე.

ოპოზიცია სწორედ ამის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ ირაკლი ალასანიამ მას და მთელ ოპოზიციას მაგარი „შტუკა" გაუკეთა. მერის პოსტზე საკუთარი თავი წარადგინა. ოპოზიციის ნაწილი ამას დიდი წიოკით შეხვდა, „დაიცავი საქართველომ" კი ეს ამბავი ღირსეულად და მშვიდად მიიღო. ისინი ალასანიას არც იმის გამო გამოჰკიდებიან, მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი კოკა გუნცაძე რომ გადაიბირა.

მოძრაობას „დაიცავი საქართველო" ახლა სხვა საქმეები აქვს. მოძრაობის შიგნით, როგორც ამბობენ, სერიოზული განხეთქილებაა. ამ დაპირისპირებას მოგვარება სჭირდება. ამის გარდა მათ ყრილობაც ჩასატარებელი აქვთ და რაც უმთავრესად მიაჩნიათ, საქართველო სააკაშვილისგან უნდა გამიჯნონ.

— ტალიავინის კომისიის დასკვნის შემდეგ თითოეული ქართველი მოქალაქისთვის წამმზომი ჩაირთო, შეძლებენ თუ არა სახელმწიფოებრიობის გადარჩენას. ნებისმიერი გზა, რომელიც მალე გადაარჩენს სახელმწიფოებრიობას და გამიჯნავს სააკაშვილს საქართველოსგან, ჩვენთვის მისაღები იქნება, — განაცხადა გუშინ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ.

ამ საქმეში ის ნინო ბურჯანაძესთანაც აპირებს თანამშრომლობას და არც ქუჩის აქციებზე იტყვის უარს. თუმცა, წინასწარ ამბობს, რომ ამ ეტაპზე ვინმეს ლიდერობაზე საუბარი არ შეიძლება.

— ყველა სამართლიანი მეთოდით, მათ შორის ქუჩის აქციებითაც ვიბრძოლებთ, რომ სააკაშვილი გაიმიჯნოს საქართველოსგან. იდეა საქართველოსგან სააკაშვილის გამიჯვნის ყველას მოეწონება. ლიდერები არჩევნებზე გვჭირდება. ამჟამად კი მთავარი მიზანია საქართველოსგან სააკაშვილის გამიჯვნა. ამას ლიდერები არ სჭირდება, ამას მხოლოდ სულისკვეთება სჭირდება, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.



გაჩეჩილაძემ სააკაშვილთან გამიჯვნის იდეის გამზიარებლები სასტუმრო „რედისონში" მიიწვია. მომავალ კვირას იქ დიდი ოპოზიციური თავყრილობა იგეგმება. სააკაშვილის მიერ ზარ-ზეიმით გახსნილ სასტუმროში სააკაშვილის საწინააღმდეგო შეკრება გაიმართება.

ამ შეკრებასთან დაკავშირებით გუშინ მოძრაობამ „დაიცავი საქართველო" საგანგებო განცხადება გაავრცელა.

„დაიცავი საქართველოს" წარმომადგენლები საზოგადოებას მოუწოდებენ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოსგან სააკაშვილის გამიჯვნის პროცესში. „რედისონში" დაგეგმილ შეკრებაზე კი ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობოები და ექსპერტები არიან მიწვეული. როგორც გაჩეჩილაძე ამბობს, ამ შეკრებაზე ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედიაც კი იქნება მიწვეული.

— ტალიავინის დასკვნის შემდეგ საქართველო უდიდესი გამოცდის წინაშე დგას. ტალიავინის დასკვნამ დაადასტურა, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, რასაც ისინი აქამდეც ლაპარაკობდნენ. ომზე პასუხისმგებლობა სააკაშვილსა და ხელისუფლებას ეკისრება. სააკაშვილმა უპასუხისმგებლო საქციელით ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიაზე რუსულ ინტერვენციას და დაკარგა ტერიტორიები. მძიმედ არის დასკვნაში შეფასებული საქართველოს ხელისუფლების ქმედებები. მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი არ არის საქართველო, — ნათქვამია მოძრაობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ოპოზიციის ნაწილი გუშინვე გამოეხმაურა გაჩეჩილაძის მოწოდებას. ისინი 14 ოქტომბერს დაგეგმილ შეკრებაში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ და სააკაშვილთან გამიჯვნის საკუთარ ხედვებსაც დააფიქსირებენ.

შეიმუშავებს თუ არა ოპოზიცია ბოლოს და ბოლოს ახალ გეგმას ძნელი სათქმელია. „საშემოდგომო" ოპოზიციას ჩასაბარებელი აქვს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ოპოზიცია ამ საშემოდგომოს შარშანდელივით ვერ ჩააბარებს.

შემოდგომაზე გააქტიურებას ოპოზიცია შარშანაც გვპირდებოდა. თუმცა, ამა წლის აპრილამდე არაფერი გაუკეთებიათ. აპრილში დაწყებული აქციები მართალია გრანდიოზული გამოდგა, მაგრამ არანაირი შედეგი არ მოიტანა.

ოპოზიცია იმ აქციებს წარუმატებელს სულაც არ უწოდებს. რას მიიჩნევს ოპოზიცია წარმატებად ვერ გეტყვით. მათი მცდელობის მიუხედავად არავინ არ გადამდგარა. ოპოზიციის მხარდამჭერების დიდი ნაწილი კი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

მოგვიანებით რამდენიმე ოპოზიციონერმა აღიარა, აქციების დასრულების შემდეგ სააკაშვილმა რეპრესიები კიდევ უფრო გააძლიერაო.

ამის მიუხედავად ოპოზიცია მაინც ბევრს საუბრობს მიღწევებზე. საუბრობენ და იმედი აქვთ, რომ ახდა მართლა მიაღწევენ წარმატებას. ამაში კი ტალიავინის კომისიის დასკვნა დაეხმარებათ.

ოპოზიციის მტკიცებით ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულება ევროპაში კიდევ უფრო გაუარესდა. მისით აღფრთოვანებული არც ამერიკაა.

ასეა თუ ისეა, სააკაშვილი ისევ საქართველოს პრეზიდენტია. ოპოზიცია კი თავის გეგმებში ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა და არარსებულ წარმატებებზე საუბრობს. ამით ისინი ძალიან ჰგვანან ხელისუფლებას, რომელიც წაგებულ ომს დღემდე მოგებულად ასაღებს.

ერთადერთი, რაც დადებითი ჰქონდა იმ აქციებს ის იყო, რომ ოპოზიცია ნაწილობრივ გაიფილტრა. აქციებზე და მის შემდეგაც ნათლად გამოჩნდა, ვინ თამაშობდა ხელისუფლების თამაშს.

ახლა მეტნაკლებად გაფილტრული ოპოზიცია ახალი ღონისძიებებისთვის ემზადება. ტალიავინის დასკვნამდე არაფერი გამოუვიდათ. ვნახოთ, რა გამოუვათ ამ დასკვნის შემდეგ.

## კონსერვატორები მზად არიან, ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნაში ჩაერთონ

„კონსერვატიული პარტია" მზად არის, ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.როგორც „ინტერპრესნიუსს" პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ზვიად ძიძიგურმა განუცხადა, ისინი კონსულტაციებს აწარმოებენ, როგორც ნინო ბურჯანაძის პარტიასთან, ისე - სხვა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან.

— მიმდინარეობს კონსულტაციები გაერთიანებაზე, თუმცა ჯერ არ ვიცით, როგორი ფორმატით შედგება ეს გაერთიანება. გაერთიანების მთა-



ვარი მიზანი იქნება ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, თუმცა გარკვეულ თემებზე, თუნდაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოზე შეიძლება ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები. უნდა დაათმობინო ხელისუფლებას, — განაცხადა ძიძიგურმა.

გუშინ ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციას დემოკრატიული ფრონტის შექმნა შესთავაზა. როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ახალ გაერთიანებაში ის ძალები უნდა შევიდნენ, რომლებიც ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე არ წავლენ.

**ინტერპრესნიუსი**

## პენტაგონი საქართველოს არმიასთან თანამშრომლობას აგრძელებს

აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილის ალექსანდრ ვერშბოუს განცხადებით, აშშ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და პენტაგონი აგრძელებს საქართველოს არმიასთან თანამშრომლობას.

როგორც ვერშბოუმ უკრაინულ ტელეკომპანია "ინტერს" განუცხადა,



აშშ ძალზე მკვეთრად განაცხადა, რომ მისთვის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება მიუღებელია.

რაც შეეხება უკრაინის ნატოში გაწევრიანებას, ვერშბოუს თქმით, დაბრკოლებებს თავად უკრაინა ქმნის, რადგან უკრაინის რადამ ვერ მიიღო შესაბამისი კანონმდებლობა და ქვეყნის ტერიტორიაზე ორი მსხვილი სამხედრო სწავლება ჩაიშალა.

პენტაგონის მაღალჩინოსანმა ისიც აღნიშნა, რომ ათი წლის შემდეგ, ახალი სისტემა შეიქმნება, რომელშიც რაკეტსაწინააღმდეგო ელემენტებიც გაერთიანდება და ის ზღვასა და ხმელეთზე განლაგდება.

— სახმელეთო სისტემები, ადრეულ ეტაპზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, მოგვიანებით კი, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში განლაგდება. პოლონეთი რაკეტსაწინააღმდეგო ახალი სისტემების განლაგების პირველი კანდიდატია. ასე რომ, არანაირი დათმობები არ ყოფილა. ჩვენ არ მივდივართ აღმოსავლეთ ევროპიდან, — აცხდებს ვერშბოუ.

**მედიანიუსი**

## შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ ამავე უწყების თანამშრომელი დააკავა

შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ ამავე უწყების საფინანსო-სამეურნეო მთავარი სამმართველოს თანამშრომელი ლევან ზარანდია დააკავა.

შსს-ს ინფორმაციით, ზარანდია მიმაგრებული იყო ერთ-ერთ ფირმაზე, რომელსაც სამინისტროს მანქანები უნდა შეეკეთებინა. ზარანდიამ 6 ათასი ლარი მიითვისა და პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით ანგარიშ-ფაქტურები გააყალბა.დაკავებულმა აღიარა დანაშაული. ზარანდიას 9 წლამდე თავის აღკვეთა ემუქრება.

**ინტერპრესნიუსი**

## ბურჯანაძე სააკაშვილის წინააღმდეგ ახალ კოალიციას ქმნის

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილის რეჟიმთან შეურიგებელ ძალებს დემოკრატიული ფრონტის შექმნას სთავაზობს. ამის შესახებ ბურჯანაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული კოალიციის ძირითადი მიზანი საქართველოს არსებული რეჟიმისგან გათავისუფლება იქნება.



როგორც ბურაჯანაძე განმარტავს, აღნიშნულ გაერთიანებას, ადრე არსებული ოპოზიციური ძალების გაერთიანებებისგან განმასხვავებელი ნიშანიც ექნება. კერძოდ - აქამდე გაერთიანება საერთო მიზნის, ხელისუფლების შეცვლის მისაღწევად იქმნებოდა, თუმცა მასში შედიოდნენ ძალები, რომლებსაც ხელისუფლების ცვლილება სხვადასხვა გზებით ჰქონდათ წარმოდგენილი. ახლა, კი შეთავაზებულ კოალიციაში კონკრეტული იდეის ირგვლივ უნდა გაერთიანდნენ ის ძალები, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ არსებული ხელისუფლების და რეალობის პირობებში, ბრძოლის ერთადერთი გზა არის არა დიალოგი, არამედ უფრო მკვეთრი ქმედებები, თუმცა — კონსტიტუციური.

მისივე თქმით, ბრძოლის მეთოდები შეიძლება იყოს, როგორც კონსულტაციები, ისე ქუჩის გამოსვლები, რადგან ორივე გზა ცივილიზებული და დემოკრატიულია.

ბურჯანაძის ინფორმაციით, უკვე ჰქონდა კონსულტაციების სხვა პოლიტიკურ ძალებთან, რომელთა ძირითად ნაწილს იგივე შეხედულება აქვს. თუმცა, კონკრეტულ პარტიებს ბურჯანაძე იმ მიზეზით არ აკონკრეტებს, რომ ჯერ კონსულტაციების პროცესი გრძელდება და პარტიები განცხადებებს თავად გააკეთებენ. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ტალიავნის მისიის დასკვნის შემდეგ საქართველოში შექმნილ რეალობასთან დაკავშირებით მოსაზრებაც წარმოადგინა და აღნიშნა, რომ ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციის საფრთხის ქვეშ დგას.

— საშიშია, რომ მიხეილ სააკაშვილი არ ან ვერ აცნობიერებს შექმნილ ვითარებას და იმეორებს, რომ გასული წლის აგვისტოს მსგავს სიტუაციაში იმავეს გააკეთებდა. ეს კი მას შემდეგ ხდება, რაც ცივილიზებულმა მსოფლიომ ცალსახად თქვა, რომ სააკაშვილის გადაწყვეტილებები იყო დანაშაულებრივი, — განაცხადა ნონო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ამ რეჟიმის პირობებში ოს და აფხაზ ხალხთან შერიგება და მათი ნდობის დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელია.

— მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით და შეურიგებელი ბრძოლით შევძლებთ ამ რეჟიმის დასრულებას. მოვუწოდებ ყველას, გაერთიანდნენ სამშობლოს გადასარჩენად, — აღნიშნა ბურჯანაძემ. რომელსაც ხელისუფლებასთან ყოველგვარი დიალოგი და კომპრომისი უშედეგოდ და ფუჭად მიაჩნია.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, ხელნაწერების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ მიდის სააკაშვილი პარლამენტში

**სამშაბათს საქართველოს პარლამენტს პრეზიდენტი ეწვევა. პრეზიდენტის სტუმრობის შესახებ გუშინ ბიუროს სხდომაზე გახდა ცნობილი. პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს აცნობა, რომ მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში სტუმრობის სურვილი თავად გამოთქვა.**

ნანა მიშელაშვილი

რისთვის მიდის პრეზიდენტი პარლამენტში? ამ კითხვას დავით ბაქრაძემ თავად გასცა პასუხი. მიხეილ სააკაშვილი პარლამენტსა და მოსახლეობას იმ ეკონომიკურ პაკეტს გააცნობს, რომელიც მომზადებულია. დავით ბაქრაძის თქმით, პრეზიდენტი ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე თავად ისაუბრებს.



გასულ კვირას პარლამენტში პრემიერ-მინისტრი და ფინანსთა მინისტრი იმყოფებოდნენ. მათ ეკონომიკურ პაკეტზე ისაუბრეს, რომლის დეტალები არ გაამჟღავნეს.

რას შეეხება ახალი ეკონომიკური პაკეტი და რა სიახლე იგეგმება ამა წლის ან მომავალი წლის განმავლობაში, ეს მხოლოდ პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ გახდება ცნობილი. მანამდე, დეპუტატები თავს იკავებენ კონკრეტულ საკითხებზე დეტალური საუბრისგან.

პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ როგორი ფორმატით წარიმართება მუშაობა, ეს დღეს გახდება ცნობილი. პრეზიდენტს პარლამენტში მისვლას და ეკონომიკურ საკითხებზე საუბარს არც კანონი ავალდებულებს და არც კონსტიტუცია. მიხეილ სააკაშვილმა თავად გადაწყვიტა პარლამენტში გამოსვლა.

პარლამენტში საუბრობენ, რომ პრეზიდენტი მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებზე არ ისაუბრებს. გამორიცხული არ არის, რომ სააკაშვილმა პოლიტიკურ თემებზეც გაამახვილოს ყურადღება.

გაიმართება თუ არა პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ფრაქციების ლიდერების გამოსვლა და დებატები, ამას გუშინ ვერც ერთი დეპუტატი ვერ აკონკრეტებდა.

რას ფიქრობენ პრეზიდენტის პარლამენტში მისვლაზე სხვადასხვა ფრაქციის დეპუტატები? თითქმის ყველა აცხადებს, რომ ახალი ეკონომიკური პაკეტი მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნისა და მოსახლეობისთვის.

პარლამენტის ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, რამდენიმე კვირის წინ პრეზიდენტმა მთავრობას დაავალა ეკონომიკური პაკეტის შემუშავება.

— ეს ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მთელ მსოფლიოშია, ჩვენთვის არის გამოწვევები და საქართველო სულ უნდა იყოს ადეკვატური. ასე არ არის, რომ ერთი პროგრამა დაწერა ვილაცამ და მას უნდა გავყვეთ. მუდმივად უნდა ხდებოდეს განახლება, თუ გვინდა, რომ ეს კრიზისი ნაკლებად შეგვეხოს. პრეზიდენტის დავალების შესაბამისად, პრემიერი გილაური პარლამენტში იყო მოსული, მან ისაუბრა იმ სიახლეებზე, რომელზეც მთავრობა ფიქრობს. პრეზიდენტს აქვს სურვილი მობრძანდეს და რადგან საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთავარი შემუშავება პარლამენტში ხდება, პარლამენტის წევრებს უთხრას იმ იდეების შესახებ, რა დავალებაც მთავრობას აქვს მიცემული, — აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის განცხადებით, ჩვენთვის ერთი დიდი პრობლემა არის რუსული აგრესია და ოკუპირებული ტერიტორიები და მეორე დიდი პრობლემაა ეკონომიკა და უმუშევრობის დაძლევა.

რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, მათი ნაწილი ფიქრობს, რომ პრეზიდენტი პარლამენტში მორიგ საარჩევნო დაპირებებს გასცემს, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი რამდენიმე ახალ ინიციატივას გააჟღერებს.

ედპ-ს წევრის, დეპუტატ გურამ ჩახვაძის ინფორმაციით, პრეზიდენტი პარლამენტში ეკონომიკის სტიმულირების პაკეტს წარმოადგენს, რომელიც მთავრობამ შეიმუშავა.

გურამ ჩახვაძე ამბობს, რომ მზად არის პრეზიდენტს მოუსმინოს და მისი გამოსვლის შემდეგ საკუთარი ხედვა წარმოადგინოს. დეპუტატი ასევე მიიჩნევს, რომ კარგი იქნება თუ დებატები გაიმართება.

— მთლიანად საუბარია საგადასახადო კოდექსზე. ჩვენ პრობლემა გვაქვს გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. გადასახადების ოდენობა საქართველოში არ არის მაღალი, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ქვეყანა არის მონოპოლიზირებული, ყველა ადამიანს არა აქვს საშუალება თანაბრად ისარგებლოს ამ დაბალი გადასახადებით და ეკონომიკური თავისუფლებით. მთავარია ყველა ჩვენს მოქალაქეს მივცეთ საშუალება, თანაბრად ისარგებლოს სიკეთით, თუკი რაიმე არის ეკონომიკაში, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

ედპ-ს წევრის თქმით, საქართველო მე-11 ადგილზეა ბიზნესის გახსნით, მაგრამ 133 ქვეყანაში საქართველო 90-ე ადგილზეა კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით.

— ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ნაკლებად მიუწვდებათ ხელი მეწარმეებს კრედიტზე, სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური საქმიანობა არის არაეფექტური. მთელი რიგი საკითხებია, რაც არაკონკურენტუნარიანს გვხდის მსოფლიო ეკონომიურ პროცესში და ამაზეა საჭირო ყურადღების გამახვილება, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

როგორი იქნება ეკონომიკური სიახლეები და რა ინიციატივები აქვს მთავრობას ეკონომიკური კრიზისის დროს, ეს დღეს გაირკვევა. მოსახლეობის ნაწილს ყველაზე მეტად უმუშევრობის დაძლევის თემა და დაბალი გადასახადები აინტერესებს.

პრეზიდენტის პარლამენტში მოსვლამდე მთავრობამ პარლამენტში 2010 წლის ბიუჯეტის პროექტი წარადგინა.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ბიუჯეტში შემოსავლები 4.865.380.0 ათასი ლარით განისაზღვრება. მომავალ წელს საგრანტო შემოსავალი 376.380.0 ლარი იქნება.

როდის დაიწყება მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა პარლამენტში, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი გარფიკი გაიწერება და როდის შეუდგებიან კანონმდებლები ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტის განხილვას.

## კუშნერმა აღიარა, რომ რუსეთისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა არ მოუთხოვიათ

გამოცემა „ნოვაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუ-



ში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა აღიარა, ე.წ.სარკოზი-მედვედევის დოკუმენტის მომზადებისას რუსეთისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა არ მოუთხოვიათ.

კუშნერმა დეტალურად გაიხსენა ე.წ. სარკოზი-მედვედევის დოკუმენტის გაფორმების დეტალები.

— მაშინ ძალიან სწრაფად გაკეთდა ყველაფერი. მე მზად ვიყავი მსგავს პირობებში მოქმედებისთვის, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ პრეიზდენტი სარკოზიც ასეთ სისწრაფეს გამოიჩენდა...მე ჯერ სააკაშვილთან გავმართე მოლაპარაკებები პირველ დოკუმენტთან დაკავშირებით. მერე იყო მეორე დოკუმენტი, რომელიც შეთანხმდა პუტინთან, მედვედევთან, პრიხოდკოსთან და ლავროვთან. შემდეგ კი, ერთი დღის განმავლობაში მოვამზადეთ დოკუმენტი, რომელიც არ იყო სრულყოფილი - რიგი მიზეზების გამო, რომელთა ახსნასაც მე ახლა არ დავიწყებ. ზოგიერთებს საერთოდ არ მოეწონათ, რომ მე მოვამზადე ეს დოკუმენტი და იძულებულნი გავხდით, მოგვემზადებინა ახალი დოკუმენტი. შემდეგ, პრობლემები შეიქმნა თარგმანთან დაკავშირებით, — აცხადებს კუშნერი.

მისივე თქმით, ფრანგული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების გადაადგილების შეჩერებას, კონფლიქტის ზონიდან სამხედროების გაყვანასა და იქ ევროპელი დამკვირვებლების დაშვებას ითხოვდა.

— მაგრამ, ჩვენ არ მოვითხოვეთ ის, რაც ჩემს პირველ დოკუმენტში იყო - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ეს რომ მოგვეთხოვა, პუტინისა და მედვედევის ხელმოწერებს ვერ მივაღწევდით. იმავე საღამოს მედვედევთან მოგვიწია დოკუმენტის ერთი ფრაზის შეთანხმება, რომელიც საქართველოს ტერიტორიების მთლიანობის გაგების ადეკვატური იყო. და რადგან ეს ყველაფერი არასრულფასოვანი იყო, მოგვიწია გაგებების — „მიმდებარე ტერიტორიებისა“ და „საზღვრისპირა ზონის“ დაზუსტება, — ამბობს კუშნერი.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, მათ წააგეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, სამაგიეროდ, ჟენევის დისკუსიები დაიწყო.

**მედიანიუსი**

## ისანი-სამგორის რაიონში ახალი სახანძრო პუნქტი გაიხსნა



ისანი-სამგორის რაიონში ახალი, რეაბილიტირებული სახანძრო პუნქტი გაიხსნა. სახანძრო პუნქტის გახსნა მერიის სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

ღონისძიებას თბილისის მერი გიგი უგულავაც დაესწრო.

— საგანგებო სიტუაციების სამსახურის პუნქტების სრული რეაბილიტაცია თბილისის მასშტაბით გაისად დასრულდება. წელს თერთმეტი ასეთი ობიექტი შევა მწყობრში, მომავალ წელს — კიდევ ოთხი, რაც ავჭალიდან ფონიჭალამდე მთელს ქალაქს მოიცავს. თბილისელებს ეცოდინებათ, რომ საჭიროების შემთხვევაში მაქსიმუმ, 10 წუთში საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლები დანიშნულების ადგილზე გამოცხადდებიან, — აღნიშნა უგულავამ.

**პირველი**

## საია და სამართლიანი არჩევნები ერთობლივი პროექტის პრეზენტაციას გამართავენ

6 ოქტომბერს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და “სამართლიანი არჩევნები“ გამართავენ ერთობლივად განხორციელებული პროექტის - “დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობა სამართლიანი საარჩევნო პროცესებისა და აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის გზით“ - ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შემაჯამებელ პრეზენტაციას.

პროექტი, რომელიც უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში ხორციელდებოდა, დაფინანსებული იყო ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ძირითადი საქმიანობები იყო: ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კამპანია საპარლამენტო და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს, რომლებიც მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცედურების გაცნობას და ამომრჩევლის მოტივაციის გაზრდას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად; ტრენინგები 62 მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საზოგადოებასთან აქტიური მოქალაქეობის საკითხებზე; ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება საზოგადოების ჩართულობით; სამუშაო შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან;

კონფერენციაზე გაიმართება დისკუსია საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობებზე და იმ პრობლემებზე, რასაც მოქალაქე მათთან ურთიერთობის დროს აწყდება.

ამავე დროს, ორგანიზაციები დააჯილდოვებენ იმ მოქალაქეებსა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს, რომელთა უშუალო მონაწილეობამ და აქტიურობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებისათვის პრობლემატური საკითხების მოგვარებაში.

პრეზენტაციას დაესწრებიან საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები, ცესკოს წევრები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, პროექტის ფარგლებში ჩართული მოქალაქეები.

**მედიანიუსი**

## კონსერვატორები დედაქალაქში მწვანე ნარგავების გაჩეხვას აპროტესტებენ

კონსერვატორები დედაქალაქში მწვანე ნარგავების გაჩეხვისა და გამწვანებულ ტერიტორიაზე მშენებლობების შეჩერებას მოითხოვენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გუშინ კონსერვატიული პარტიის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა ვაკის პარკში სპეციალური ბრიფინგი გამართა.

როგორც „მედიანიუსს“ ჩხარტიშვილმა განუცხადა, ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს გამწვანებულ ტერიტორიაზე მშენებლობები, მათ შორის ვაკის პარკის ტერიტორიაზე.მისი თქმით, ამ მშენებლობებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ქალაქის მერი გიგი უგულავა კურირებენ.

— მოვუწოდებთ, ერთი მხრივ, ბიზნესმენებს, უარი თქვან გამწვანებულ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებაზე. ასევე, მივმართავთ საზოგადოების უბნებისა და რაიონების მიხედვით, შექმნან სამოქალაქო კომიტეტები, რათა იზრუნონ გამწვანებული ტერიტორიის დასაცავად, — აღნიშნა ჩხარტიშვილმა.

ჩხარტიშვილის განცხადებით, უნდა შეჩერდეს გამწვანებული ტერიტორიების გასხვისება და ამ ადგილას მშენებლობები, წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადასარჩენად აქტიურ ღონისძიებებს გაატარებენ.

**მედიანიუსი**

## ალექსანდრე ვერშბოუ საქართველოს ეწვევა

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ საქართველოს ეწვევა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება ადასტურებს. ვერშბოუ თბილისს ოქტომბერში ეწვევა. ვიზიტის სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

ვიზიტის მიზანია, საქართველოსა და აშშ-ს შორის გაფორმებული ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება. ვერშბოუს ვიზიტისას, სავარაუდოდ, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების საკითხიც განიხილება.

**ინტერპრესნიუსი**

## ნოღაიდელის პარტია სააკაშვილს პასუხს სთხოვს



ევროგაერთიანების მიერ აგვისტოს ომის შესახებ შექმნილი დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის დასკვნას მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამოეხმაურა.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, პარტიის წევრმა, პარლამენტარმა პეტრე მამრაძემ განაცხადა, რომ სააკაშვილის დანაშაული მთლიანად დაადასტურა ევროგაერთიანების მიერ შექმნილმა დამოუკიდებელმა საერთაშორისო საგამოძიებო კომისიამ.

— გამოქვეყნებული ანგარიში ობიექტურად აფასებს, როგორც რუსეთის ხელისუფლების, ასევე სააკაშვილის მოქმედებას, სადაც ჩანს, რომ ომი სწორედ სააკაშვილმა დაიწყო ცხინვალში შეჭრით. საერთაშორისო სამართლის ნორმებით, სააკაშვილის ეს ქმედება დანაშაულია, — ამბობს პეტრე მამრაძე.

მისი თქმით, აგვისტოს ომის მიზეზების შემსწავლელი ტალიავინის კომისიის დასკვნა, მთლიანად ეთანხმება მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ 2008 წლის აგვისტოში გაკეთებულ შეფასებებს, სადაც მითითებული იყო, რომ საქართველოს ხელისუფლების ქმედება ცხინვალის რეგიონში იყო სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა. პეტრე მამრაძის განცხადებით, „დღეს სააკაშვილი ახალ მძიმე დანაშაულს სჩადის. საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, მართული ტელევიზიების მეშვეობით, ის და მისი დაქირავებული მსახურები ამტკიცებენ, რომ კომისიამ გაამართლა მისი მოქმედება.“ პარლამენტარის შეფასებით, სააკაშვილის დანაშაული ქართველების, ოსებისა და აფხაზების წინაშე ახლა უკვე საერთაშორისო დონეზეა დამტკიცებული. პეტრე მამრაძე შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის გზად საზოგადოების აქტიურობა მიაჩნია.

— საჭიროა ყველამ აღვიმაღლოთ ხმა, ვთქვათ სიმართლე და მოვთხოვით პასუხი სააკაშვილს დანაშაულისათვის, — აცხადებს მამრაძე.

**მედიანიუსი**


**გააგზავნეთ SMS „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.**

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

*ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“*

# ეროვნული ფორუმი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს

**უკვე რამდენიმე კვირა გავიდა, რაც ოპოზიციურმა გაერთიანებამ „ალიანსი საქართველოსთვის" თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განცხადება გააკეთა. მიუხედავად გამძაფრებული მოლოდინისა, დედაქალაქის მერის თანამდებობაზე ირაკლი ალასანიას ჯერ-ჯერობით არცერთი ოპოზიციონერი ლიდერი არ დაპირისპირებია. უფრო მეტიც, არჩევნებში მონაწილეობის სურვილიც დღემდე არცერთ სხვა ოპოზიციურ პარტიას არ გამოუთქვამს. თუმცა სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ამ არჩევნებზე ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მათ შორის ასახელებენ „ეროვნულ ფორუმსაც".**

მიიღებს თუ არა „ეროვნული ფორუმი" თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას და ბრძოლის რა ტაქტიკის არჩევას აპირებს მომავალში, ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" ფორუმის ერთ-ერთ ლიდერს **ირაკლი მელაშვილს** ესაუბრა.

— აბსოლუტურად ნათლად შემიძლია გითხრათ, რომ ამ ეტაპზე „ეროვნული ფორუმი" თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების აზრს ვერ ხედავს.

***— რატომ, შეგიძლიათ დააკონკრეტოთ?***

— პირველი მიზეზი და უმთავრესი არის ის, რომ ქვეყანაში თვითმმართველობა არ არსებობს. იქიდან გამომდინარე, რომ მას საკუთარი ბიუჯეტი არ გააჩნია. თუ ვინმეს აინტერესებს, რა ხდება თბილისის ბიუჯეტში, იქნებ კარგად დაფიქრდეს, ორი წლის წინ თვითმმართველობის შესახებ კანონში რატომ შეიტანეს ცვლილებები და ქალაქს საკუთარი შემოსავლები რატომ ჩამოართვეს და რატომ დასვეს ცენტრალურ ბიუჯეტზე?!. ანუ დღეს ქალაქმა დაფინანსება რომ მიიღოს, ნაგავის გატანაზეც კი პრეზიდენტის და მთავრობის კეთილი ნება სჭირდება. ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში არა მარტო თბილისში, არამედ ყველა რაიონში, დღევანდელი სისტემიდან გამომდინარე, თვითმართველობის ის ერთეულები, სადაც ოპოზიცია გაიმარჯვებს, დაფინანსების გარეშე დარჩება. სააკაშვილი ამ გარემოებას ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის კარგად გამოიყენებს და მის ბოლომდე დიკრედიტაცია მოახდენს. სადაც ოპოზიცია გაიმარჯვებს, ჯერ დაფინანსებას შეუმცირებენ, შემდეგ კი იტყვიან, აი, სადაც აირჩიეთ ოპოზიციის წარმომადგენლები, იქ არაფერი კეთდება, სადაც ნაციონალური მოძრაობის წევრები აირჩიეთ, იქ კეთდება. გარდა ამისა, თუ თბილისმა მოითხოვა საკუთარი ბიუჯეტი, მერე იმას იტყვიან, რომ ხომ ხედავთ მხოლოდ თბილისზე ზრუნავენ და რეგიონებს ყურადღებას არ აქცევენ და ა.შ. ანუ თვითმმართველობის ერთეულებს დღეს არ გააჩნიათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოაგვარონ ის პრობლემები, რაც დღეს თვითმმართველობაშია. ამ შემთხვევაში ოპოზიციის გამარჯვებას მაინც და მაინც დიდი აზრი არ ექნება.

***— ესე იგი ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ოპოზიციისთვის წამგებიანი იქნება?***

— არა, წამგებიანი შეიძლება აღმოჩნდეს იმ დასახლებული პუნქტებისთვის, რომლებიც ოპოზიციისა და ხელისუფლების ბრძოლის გამო დაზარალდებიან.

***— კი მაგრამ, ოპოზიცია ხშირად საუბრობდა ხოლმე იმაზე, რომ თვითმმართველობის ორგანოები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არჩევნების გაყალბებაში. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებამდე, თუ თვითმართველობაში ოპოზიცია დიდი რაოდენობით იქნება წარმოდგენილი, არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების ნაკლები რესურსი ექნება?***



— არჩევნები ყალბდება საარჩევნო ადმინისტრაციით და სამართალდამცავი სტრუქტურებით. არც ძალოვანები და არც საარჩევნო ადმინისტრაცია არანაირ დამოკიდებულებაში თვითმართველობის ერთეულებთან არ არის. ეს არის ხელისუფლების მიერ, გავრცელებული ხმები, რომ ამ მიზეზით ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე როგორმე შეიტყუონ.

***— ანუ თქვენ როგორც ამბობთ, ხელისუფლებას ხელს აძლევს ის, რომ თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიციამ მონაწილეობა მიიღოს.***

— ეს არის მეორე საკითხი. დღეს ქვეყნის წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომელსაც თვითმმართველობა ვერ აგვარებს, რადგან ამ პრობლემების მოგვარება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა. თუ კი, მთელი ოპოზიცია შეეშვება სააკაშვილს გადაყენებასა და რიგგარეშე საპრეზიდენტო, საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე ზრუნვას და 9 თვის განმავლობაში თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადებაზე გადაერთვება, ამით სააკაშვილი მხოლოდ მოიგებს. Xამავდრულად, ეს არჩევნები დანიშნულიც კი არ არის. არც საარჩევნო კანონი გვაქვს . ხელისუფლების ძალიან დიდი ოცნებაა, რომ ოპოზიციამ ყველაფერს თავი დაანებოს და მხოლოდ იმაზე იზრუნოს, თუ როგორ იქნება მერის არჩევის კანონი, რამდენ პროცენტიანი უნდა იყოს ბარიერი, კომისიაში ვის რამდენი წევრი უნდა ჰყავდეს და ა.შ. ანუ ხელისუფლება ჩამოიშორებს მთავარ პრობლემას, ფაქტობრივად, მის წინაშე აღარ იქნება ცენტრალური ხელისუფლების შეცვლის საკითხი, რომელსაც ოპოზიცია აქამდე აყენებდა. ხელისუფლება საკმაოდ სერიოზულ ტაიმ-აუტს აიღებს. სწორედ ამიტომ სააკაშვილი მაქსიმალურად ეცდება ბევრი პოლიტიკური ორგანიზაცია მიიტყუოს ამ არჩევნებში, რაც ნიშნავს იმას, რომ რამდენიმე კანდიდატი თბილისი მერობაზე, ისევე როგორც რაიონების მუნიციპალიტეტის არჩევნებზე, ერთმანეთს დაუპირისპირდება და ნაციონალებს გამარჯვება გაუადვილდებათ.

***— თქვენი ვარაუდით, თვითმმართველობის არჩევნებში "ალიანსი საქართველოსთვის" გარდა, სხვა ოპოზიციური პარტიებიდან რომელი მიიღებს მონაწილეობას?***

— ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე ბევრი ოპოზიციური პარტია შეიტყუოს და ერთმანეთს ბევრი კანდიდატი დაუპირისპიროს. ამასთან, მერის არჩევა მოხდება არა ხმათა 50 პროცენტით, არამედ ერთი მესამედით, როგორც არის პარლამენტის მაჟორიტარულ სისტემაში. სწორედ ამით ეცდებიან წარმატების მიღწევას.

***— არჩევნებში თუ არ აპირებთ მონაწილეობის მიღებას, ხელისუფლებასთან ბრძოლის რა ფორმის არჩევას აპირებთ?***

— ჩვენ გვინდა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელთანაც შასაძლოა „ფორუმს" პარტნიორული ურთიერთობები ჰქონდეს, საბოლოოდ გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ამ არჩევნებში. პოლიტიკაში არის ხოლმე სიტუაციები, როდესაც რაღაცაზე უნდა თქვათ „არა". დღეს ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს ვთავაზობთ, გაერკვეუნენ ამ საკითხში — მიიღებენ თუ არა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას. ეს თვისობრივად ცვლის ვითარებას და გვინდა, რომ ყველა პარტია ამ საკითხზე ჩამოყალიბდეს. ჩვენ ახალი ძალებით ვემზადებით ბრძოლისთვის, მათ შორის ქუჩის აქციებისთვის, რასაც ძალიან სერიოზული მომზადება სჭირდება, რომ იგივე შეცდომები არ იქნას დაშვებული, რაც დავუშვით 2007 წლიდან მოყოლებული დღემდე.

***— როგორ ფიქრობთ, 9 აპრილის აქციების უშედეგოდ დასრულების შემდეგ, ხალხი ისევ გამოვა ქუჩაში? ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ოპოზიციის უშედეგო მოქმედებაზე საზოგადოება გულგატეხილია?***

— ხალხი გულგატეხილია იმ შეცდომების გამო, რომელიც ოპოზიციამ დაუშვა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხი ხელისუფლების სასარგებლოდ მოატრიალდა. ოპოზიციამ ეს შეცდომები კარგად უნდა გაიაზროს და გაითვალისწინოს, რომ მომავალშიც იგივე შეცდომა არ დაუშვას. საზოგადოება მზად არის ამ ხელისუფლების შესაცვლელად იბრძოლოს, მაგრამ ოპოზიცია ამ გეგმისთვის ჯერ კიდევ მზად არ არის.

***— საუბარი იყო იმაზეც, რომ ეროვნული ფორუმი და "ალიანსი საქართველოსთვის" თანამშრომლობას აპირებდნენ. რადგან ალიანსმა არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა ამ თანამშრომლობაზე ფორუმი უარს იტყვის?***

— ფორუმი არავისთან გაერთიანებას არ გეგმავს. არჩევნებთან დაკავშირებით ჯერჯერობით მხოლოდ ალიანსმა გამოხატა მკაფიო პოზიცია. ეს არის ძალიან კარგი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, პოლიტიკური ძალები რას აპირებენ.

# „დაიცავი საქართველო" დახმარებისთვის გიორგი ცაგარეიშვილს მიმართავს

ნანა მიშელაშვილი

**საზოგადოებრივმა მოძრაობამ „დაიცავი საქართველომ" პარლამენტის დეპუტატს გიორგი ცაგარეიშვილს დახმარებისთვის მიმართა. გუშინ დეპუტატმა „დაიცავი საქართველოს" წევრებთან — თამაზ გამცემლიძესთან და ლევან ჩიკვაიძესთან ერთად პარლამენტში ბრიფინგი გამართა და პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება მოითხოვა.**

მოძრაობის წევრის თამაზ გამცემლიძის განცხადებით, მოძრაობა დაიცავი საქართველოს გააჩნია ინფორმაცია პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან წლების განმავლობაში თანხების არამიზნობრივად და გადაჭარბებული ხარჯვის შესახებ, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული საშუალოდ ყოველწლიური ასი მილიონისა, სამასი და კიდევ უფრო მეტი მილიონის პრეზიდენტისა და სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიერ უკანონოდ ხარჯვის შესახებ.

— ასევე გვაქვს ინფორმაცია პრეზიდენტის მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით ყოველგვარი ტენდერისა და კონკურსის გარეშე სიმბოლურ ფასად გასხვისებული ძვირადღირებული სახელმწიფო ქონების შესახებ, — აღნიშნა მოძრაობის წევრმა თამაზ გამცემლიძემ.

მოძრაობამ 2009 წლის 8 სექტემბერს მიმართა პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციისთვის, თუმცა პასუხი არც ერთი სახელმწიფო უწყებისგან არ მიუღიათ.

თამაზ გამცემლიძე ამბობს, რომ ფინანსთა სამინისტროსგან მიიღეს მხოლოდ ნაწილობრივი ინფორმაცია, თუმცა, ამ ელექტრონულ ვერსიას ვერც ერთი კომპიუტერი ვერ ხსნის, ამიტომ გაურკვეველია თუ რა ინფორმაცია გამოაგზავნა ფინანსთა სამინისტრომ.

მოძრაობის წევრმა ლევან ჩიკვაიძემ კი გაიხსენა, თუ რას წერდნენ 2003 წელს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ინფორმაციის თავისუფლებაზე.

— ინფორმაცია ძალაუფლებაა, დემოკრატია კი ხალხის ძალაუფლებას წარმოადგენს, ასე რომ, თავისუფალ საზოგადოებაში სამთავრობო ინფორმაცია ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. თავისუფალი საზოგადოების საფუძველთა საფუძველი ინფორმირებული მოქალაქეა, — გაიხსენა მოძრაობის წევრმა ლევან ჩიკვაიძემ დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებები.



— მოგმართავთ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, პოლიტიკურ პარტიას, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, მოვუწყოთ გამოცდა სახელმწიფო ორგანოებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, წერილობით მოვითხოვოთ ჩვენთვის საინტერესო საჯარო ინფორმაციის მაქსიმალური რაოდენობა, — აღნიშნა ლევან ჩიკვაიძემ.

დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის შეფასებით, არის უწყებები, საიდანაც საჯარო ინფორმაციის მიღება საერთოდ შეუძლებელია. ცაგარეიშვილის თქმით, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებისგან ინფორმაციის მიღება ჭირს, ასევე უცნობია, თუ რა დაჯდა ავლაბრის რეზიდენცია. ოპოზიციონერი დეპუტატი მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას გამოიყენებს და პრეზიდენტის ადმინისტრაციას და სხვადასხვა უწყებებს მიმართავს, რათა იმ შეკითხვებს გასცენ პასუხი, რა კითხვებიც „დაიცავი საქართველოს" წევრებს აინტერესებთ.


## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

## განცხადება

**2998-2919 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ**

**საქართველოს მთავრობის დადგენილების (149, 2009 წლის 14 აგვისტო, ქ. თბილისი) მიხედვით**

საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებისათვის გამოყოფილია 1 073 000 ლარი. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ იმ სტუდენტმა, რომელიც 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვერ მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობა.

სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხა გადაეცემათ შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს:

✓ 150 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონების შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მესტია, ლენტეხი, ონი, ქედა, ხულო, შუახევი, ყაზბეგი, დუშეთი - (ბარისახო, შატილი, ქვეშეთი, მლეთა, მაღაროსკარი და გუდამაყრი), ადიგენი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, დმანისი, ახმეტა- (პანკისის ხეობა, ზემო და ქვემო ალვანი).

✓ 180 სტუდენტს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჟარის მუნიციპალიტეტი, ცხინვალის რეგიონი - ქურთა, ერედვი, ახალგორი და სოფელი პერევი), ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე მე-10 და მე-11 კლასებში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმეტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

✓ 30 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

✓ 30 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

✓ 45 სტუდენტს, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;

✓ 5 სტუდენტს, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები;

✓ 30 სტუდენტს, რომლებიც არიან ობლები (უდედმამო) ან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები;

✓ 6 სტუდენტს, რომლებიც არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

***ამ დადგენილებით განსაზღვრული პრინციპის შესაბამისად, ასევე დაფინანსდებიან:***

- 2008 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული ის სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;
- 2009 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული ის სტუდენტები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

დაფინანსების მოსაპოვებლად მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **(მის: ქ.თბილისი, უზნაძის 52).**

განცხადებები მიიღება **2009 წლის 7 ოქტომბრის** ჩათვლით.

განცხადებებს იხილავს შესაბამისი კომისია.

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: 43 88 53 ან სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge იხილეთ: საქართველოს მთავრობის დადგენილება 149 2009 წლის 14 აგვისტო ქ. თბილისი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 07 სექტემბრის 736 ბრძანება.**

## ხელისუფლება მომავალ წელს დაგეგმილი არჩევნებისთვის 25 მლნ ლარის დახარჯვას გეგმავს

ხელისუფლება მომავალ წელს დაგეგმილი არჩევნებისთვის 25 მილიონი ლარის დახარჯვას გეგმავს.

საარჩევნო ღონისძიებების დაფინანსების საკითხი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტშია გაწერილი. ზოგადად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება 36, 325. 0 ათასი ლარით იგეგმება, საიდანაც კომისიის აპარატზე 4,350.0 ათასი ლარი მოდის, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე - 6, 300. 0 ათასი ლარი, ხოლო 25 მილიონი არჩევნებზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ასიგნებებში წელს 10, 840. 0 ათასი ლარია განსაზღვრული. ცესკოს აპარატი წელს 4, 539.0 ათასი ლარით ფინანსდება, პოლიტიკური პარტიები კი 6, 301.0 ათასი ლარით.

ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში დღეს შევიდა, თუმცა, მისი განხილვა დაახლოებით 2-3 კვირაში მას შემდეგ დაიწყება, რაც მთავრობა საპროგნოზო მაჩვენებლებს საბოლოოდ განსაზღვრავს.

**ინტერპრესნიუსი**

## სექტემბრის წლიურმა ინფლაციამ 0,4 პროცენტი შეადგინა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2009 წლის სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 0,4; საშუალო წლიურმა ინფლაციამ კი 2,5 პროცენტი შეადგინა. 2008 წლის ანალოგიურ პეკრიოდში წლიური ინფლაცია 10,6; ხოლო საშუალო წლიური ინფლაცია 11,3 პროცენტს შეადგენდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი საშუალო წლიური ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს დამოუკიდებლად ადგენს. მიმდინარე წლისათვის ეს მაჩვენებელი 9 პროცენტით არის განსაზღვრული.

**მედიანიუსი**

## საქართველოში კიდევ ერთი პოლიტიკური პარტია შეიქმნა

საქართველოში კიდევ ერთი პოლიტიკური პარტია შეიქმნა.

„დემოკრატიული განახლება — ჩვენი საქართველო გაბრწყინდება" (ჩვენები) სამოქმედო გეგმას საზოგადოებას უახლოეს მომავალში გააცნობს. პარტიის პრეზენტაცია კი წლის ბოლოსთვის იგეგმება.

პარტიაში აცხადებენ, რომ მათ მთავარ მიზანს, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლება წარმოადგენს.

— დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის განვითარებისთვის ეკონომიკური სტაბილურობა და მცირე მეწარმეობის განვითარებაა. კერძო ბიზნესის წარმოებისთვის მოქალაქეებს თავისუფალი გარემოს შექმნა სჭირდებათ, — აღნიშნავენ „ჩვენები".

**ინტერპრესნიუსი**

## 2010 წლის ბიუჯეტი რეალისტურად არის დაგეგმილი

ექსპერტის ეკონომიკის საკითხებში დავით ნარმანიას შეფასებით, წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2010 წლის ბიუჯეტი რეალისტურად არის დაგეგმილი.

— ხელისუფლებას კარგად ახსოვს 2009 წლის მწარე მაგალითი, როცა ბიუჯეტი ზედმეტად ოპტიმისტურად გაზარდა. ქვეყანას ბევრი ვალდებულება აქვს აღებული. გასასტუმრებელია როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალების ნაწილი, ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ბიუჯეტი ვალების ხარჯზე არ გაეზარდა, — განაცხადა „პირველთან" საუბარში ნარმანიამ და დასძინა, რომ ჯერჯერობით ქვეყანაში ფინანსური კრიზისის შეჩერება არ შეიმჩნევა.

ამასთან, იგი ხელისუფლებას მოუწოდებს, ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებელი წლის ბოლომდე უფრო დააზუსტოს.

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები დაახლოებით 300 000 000-მდე ლარით მცირდება. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი უკვე პარლამენტშია და მის განხილვას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უახლოეს დღეებში შეუდგება.

საბიუჯეტო პროექტის თანახმად, მომავალი წლის ბიუჯეტში შემოსავლები 4.865.380.0 ათასი ლარით განისაზღვრება, მაშინ, როცა მიმდინარე წელს ბიუჯეტში შემოსავლები 5.137.516.8 ლარს შეადგენდა. რაც შეეხება მომავალი წლის საშემოსავლო პროგნოზებს, გადასახადებზე 4.235.00.0 ლარი მოდის, მაშინ, როცა მიმდინარე წელს ეს ციფრი 4. 260.00.0 ლარით იყო განსაზღვული.

ამასთან, მომავალ წელს საგრანტო შემოსავალი 376.380.0 ლარი იქნება, მაშინ, როცა მიმდინარე წელს ის 555.474.8 ლარი იყო.

სხვა შემოსავლებში მომავალ წელს 253.400.0 ლარია ნავარაუდები. მიმდინარე წელს ეს ციფრი 322.042.0 ლარით განისაზღვრებოდა.

რაც შეეხება ხარჯებს, მომავალი წლისთვის ხარჯების 5. 280. 829.0 ათასი ლარით განსაზღვრა იგეგმება, მიმდინარე წელს კი ხარჯები 5. 527. 221. 0 ათას ლარს შეადგენდა.

ბიუჯეტის პროექტის პირველადი განხილვის შემდეგ პარლამენტი მას მთავრობას შენიშვნებით დაუბრუნებს, რის შემდეგაც კორექტირებული ვარიანტი დასამტკიცებლად ისევ პარლამენტში შევა.

**პირველი**

# ამ ხელისუფლებას კარგის გაკეთება არ შეუძლია

*შორენა კოწოწაშვილი*

**ტალიავინის საერთაშორისო კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ოპოზიციური სპექტრი გააქტიურდა და კიდევ ერთხელ გაისმა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა. ოპოზიცია დასკვნას ობიექტურს უწოდებს და მიაჩნია, რომ ამაოდ უხარია ხელისუფლებას დასკვნის ასეთი შეფასებები, რადგანაც ტალიავინის კომისია სააკაშვილის პასუხისმგებლობაზე ღიად წერს.**

„ქალთა პარტიის" ლიდერი **გუგული მაღრაძე** მიიჩნევს, რომ დასკვნა დიპლომატიურად ისეა დაწერილი, რომ ევროკავშირმა არ გაიფუჭოს საბოლოოდ ურთიერთობა რუსეთთან, ამავე დროს დაიცვას საქართველო. მისი თქმით, დასკვნაში ფაქტები დამახინჯებული არ არის.

„ქალთა პარტიის" ლიდერი აფასებს რა მნიშვნელოვნად და ობიექტურად ტალიავინის კომისიის დასკვნას, ოპოზიციის გააქტიურებაზეც მიანიშნებს. ამასთან გუგული მაღრაძეს მიაჩნია, რომ ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიცია თბილისის მერის ერთი კანდიდატით უნდა გამოვიდეს, რადგან სხვა შემთხვევაში გამარჯვების ნაკლები შანსია.

გთავაზობთ ინტერვიუს „ქალთა პარტიის" ლიდერ გუგული მაღრაძესთან:

***— ქალბატონო გუგული, როგორია ტალიავინის კომისიის დასკვნის თქვენეული შეფასება. არის ეს დასკვნა რეალურად ვერდიქტი საქართველოსთვის?***

— ცხადია, ეს დასკვნა გაკეთებულია დიპლომატიურად. ისე რომ, ევროკავშირმა არ გაიფუჭოს საბოლოო ერთიერთობა რუსეთთან და ამავე დროს დაიცვას საქართველო. ეს არის აქ, მაგრამ ამავე დროს ფაქტიები არ არის დამახინჯებული. მართალია, არ არის ფაქტების ისეთი შეფასებები, რომელიც მართლა საჭირო იქნებოდა გინდა საქართველოსთვის და გინდა რუსეთისთვის. მაგრამ ფაქტები არის დალაგებული და სარწმუნო დასავლეთისთვის. მეორე — ცხადია, ეს დასკვნა მძიმეა საქართველოსთვის იმ გაგებით, რომ ის მორალური სიმართლე, რაც ჩვენ გვქონდა და რასაც ჩვენ თავგამოდებით ვამტკიცებდით, რომ ჩვენ პირველებს არ გვისვრია და რომ პირველები რუსები შემოვიდნენ და ა.შ. ეს მორალური სიმართლე ჩვენ აღარ გვაქვს. ამდენად, ეს საქართველოს იმიჯისთვის, როგორც მშვიდობისმოყვარე, როგორც მშვიდობისდამცველი, როგორც ოსების და აფხაზების დაბრუნებაზე მზრუნველი სახელმწიფოს იმიჯი დაინგრა. თუმცა, ეს ალბათ უფრო ხელისუფლების იმიჯია, იმიტომ, რომ მე ვერ ვიტყვი, ხალხი მზად არ არის დადებითი ხიდების მოძებნისთვის. ეს არის ჩვენთვის ძალიან მტკივნეული იმ გაგებით, რომ ჩვენ ეს მორალური სიმართლე აღარ გვაქვს. შესაბამისად, ვეღარ დავამტკიცებთ, რომ ომი ჩვენ არ დაგვიწყია. რუსეთისთვის ეს ნაკლებმტკივნეულია, იმიტომ, რომ რუსეთის შესახებ აზრი მთელ მსოფლიოში განმტკიცებული. არაფერი ახალი იმაში არ არის, რომ რუსეთი არის აგრესორი ქვეყანა, რომ მან ყველანაირი პროვოკაცია გამოიწვია იმისათვის, რომ წამოეგო საქართველო და პირველად საქართველოს გაესროლა.

***— ანუ ტალიავინის კომისიის დასკვნით საქართველო უფრო მძიმე მდგომარეობაშია?***



— ტალიავინის დასკვნით ცხადია, საქართველო უფრო მძიმე მდგომარეობაშია იმ გაგებით, რომ მას რა იმიჯიც ჰქონდა, ის აღარ აქვს. რუსეთს კი დემოკრატის იმიჯი არასდროს ჰქონია. უბრალოდ, კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რა გააკეთა რუსეთმა, ამ დასკვნას ჩვენთვის ნამდვილად არ ექნება სახარბიელო შედეგები საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით.

***— დამტკიცდა საქართველოს მხრიდან საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირება?***

— სანამ აგვისტო იქნებოდა, რუსეთმა მანამდე მთელი რიგი საერთაშორისო აქტები დაარღვია პასპორტიზაციით, ჯარების შეყვანით, ბაზების გახსნით და ა.შ. მაგრამ დამტკიცდა, რომ ჩვენ გავისროლეთ პირველებმა. გამოვიდა, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ. შეიძლება ომისთვის მზადება რუსეთმა დაიწყო და ამისთვის პროვოკაციებს აკეთებდა, მაგრამ ის, რამაც შემდგომ რუსეთს საშუალება მისცა მიესაკუთრებინა საქართველოს ტერიტორია, დახოცილიყო ამდენი ხალხი და ა.შ., ამის საბაბი ჩვენ მივეცით. ასე რომ, აქედან ჩვენ რომ არ გაგვესროლა, რუსებს გაუჭირდებოდათ ფართომასშტაბიან ომზე წასვლა. რაც მთავარია, არ იქნებოდა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება. ჩვენ გაცილებით დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება მომავალში და ალბათ, ეს პროცესი საკმაოდ გაიწელება, რომ ეს ტერიტორიები და ის ხალხი,

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ღია წერილი

**საქართველოს ერთიანი საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარეს ბ-ნ გოგა ბოკუჩავას**

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ქ.თბილისში მეტროს სადგურ „დიდუბის" გამოსასვლელში უნდა აშენდეს და მოეწყოს ავტოსადგური. აღნიშნული ინფორმაცია ცნობილია არა მარტო ჩემთვის, არამედ „დიდუბეში" დასაქმებული თითქმის ყველა მეწარმისათვის.

2008 წლის გაზაფხულზე მეტროსადგურ „დიდუბის" წინამდებარე ტერიტორია, საქართველოს პრეზიდენტის, ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის მითითების საფუძველზე განთავისუფლდა უსახური შენობებისგან — ჯიხურებისაგან და სხვადასხვა ტიპის სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო ობიექტებისაგან და ამ ტერიტორიამ მიიღო სუფთა იერსახე. შედარებით ამ ადგილზე აღდგა ავტომობილების ნორმალური მოძრაობა, ასევე ეს ტერიტორია განიტვირთა ქვეითად მოსიარულეთათვის. ყველასათვის ცნობილია, რომ ეს არის საქართველოს პრეზიდენტის, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილის პირადი ინიციატივა, რასაც მიესალმნენ ამ ტერიტორიაზე დასაქმებული მოწარმეები.

მის შემდეგ გავიდა ერთი წელი და ჩვენთვის გაურკვეველი პირების მიერ ხდება აღნიშნული ტერიტორიის პირადი მიზნებისათვის გამოყენება. კერძოდ, ამ ადგილზე იგეგმება ავტოსადგურის მოწყობა. აღნიშნული დავალების მიმცემი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ცნობილია ის, რომ აღნიშნული ტერიტორია სურს ხელში ჩაიგდოს შპს „გგ"-ს თანამშრომელმა ჟორა (გიორგი) ხაჩირაშვილმა და ამავე საზოგადოების დირექტორმა ა. ენუქიძემ.

თუ აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს შეეფერება, მაშინ გამოდის, რომ ბრძანების დამშვები ვინც არ უნდა იყოს იგი და რა თანამდებობასაც უნდა ფლობდეს, აღნიშნული პირი თუ სამსახური გამოდის საქართველოს პრეზიდენტის, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილის და მისი კურსის წინააღმდეგი და იგი ძირს უთხრის საქართველოს უმაღლესი ხელისუფალის მიერ დაშვებულ მითითებას.

ამას გარდა, თუ აღნიშნული ჩანაფიქრი მიიღებს განხორციელების საშუალებას და აღნიშნული ტერიტორია მართლაც გაიცემა იჯარით თუ სხვა ფორმით ავტოსადგურის მოწყობისათვის, მაშინ „დიდუბეში" დასაქმებული ყველა პირი იძულებული გავხდებით ვიმოქმედოთ კანონით განსაზღვრული წესებით, გამოვიყენოთ პრესა და ტელევიზია, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები, მივმართოთ სასამართლოს, რომ არ მოხდეს უკანონობის დაკანონება და უამრავი აქ დასაქმებული ადამიანისათვის სამუშაოს დაკარგვა.

განმარტებისათვის: „დიდუბის" ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით განთავსებულია ავტოსადგური „ოკრიბა", ავტოსადგური „დიდუბე", ავტოსადგური „ნიგე" და ცენტრალური ავტოსადგურის „დიდუბის ფილიალი". როგორც ხედავთ, აღნიშნული ტერიტორია გადატვირთულია სადგურებით და ახალი სადგურის ხელოვნურად შექმნა არავის სჭირდება — არც მგზავრს, არც მძღოლს და არც სახელმწიფოს. მით უმეტეს, აღნიშნული ახალი სადგურის გახსნა ეს არ იქნება ახალი სამუშაოების შექმნის მცდელობა, არამედ ეს იქნება უკვე დასაქმებული ადამიანების სამუშაოდან გათავისუფლების თანდათანობითი მცდელობა.

აღნიშნულის შესახებ გწერთ იმდენად, რამდენადაც ჩვენთვის კარგად არის ცნობილი და გვაქვს ეჭვი, რომ აღნიშნული შეთანხმების უკან იმალება გარიგება, ხოლო გარიგების უკან ე.წ. „პატივისცემა", რომელიც ჩვენი ეჭვით, უნდა მიიღონ აღნიშნული გადაწყვეტილების ხელისმომწერმა პირებმა.

კიდევ ერთხელ განმეორებით და დაჟინებით მოვითხოვთ, არ მოხდეს აღნიშნული გადაწყვეტილების დაკანონება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული გავხდებით მივმართოთ პირადად საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს და ვაცნობოთ იმის შესახებ, რომ მის მიერ გაცემული დავალების განხორციელება კი არ ხდება, არამედ ხდება პრეზიდენტის ბრძანების საწინააღმდეგო ქმედებები, რისი ნათელი დადასტურებაცაა „დიდუბეში" მოსალოდნელი ავტოსადგურის გახსნა.

გთხოვთ, მიიღოთ სათანადო ზომები და პასუხი წერილზე მაცნობოთ.

*შპს „ოკრიბას" შრომითი კოლექტივი*

## იანვარ-სექტემბრის ბიუჯეტის საპროგნოზო პარამეტრი გადაჭარბებით შესრულდა

იანვარ-სექტემბრის ბიუჯეტის საპროგნოზო პარამეტრი გადაჭარბებით შესრულდა.

როგორც „პირველს" ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, საქართველოს 2009 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 3 983.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო რეალურად 4 004.1 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101% იქნა მობილიზებულ.

ამასთან, იმ დროს, როცა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული იყო 3 638.1 მლნ ლარით, რეალურად მობილიზებულ იქნა 3 655.4 მლნ ლარი.

რაც შეეხება გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელს, ის 3 221.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო რეალურად მობილიზებულ იქნა 3 229.6 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100%.

110%-ით შესრულდა ასევე სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი და ნაცვლად განსაზღვრული 244.9 მლნ ლარისა, მობილიზებულ იქნა 270.0 მლნ ლარი.

ამასთან, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 163.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (160.6 მლნ.ლარი) 102%-ია, ხოლო ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან - 185.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.

**პირველი**

## ქიბარ ხალვაში: კახეთის ვიცე-გუბერნატორმა ჩვენი მანქანა მიითვისა

ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში კახეთის გუბერნატორის პირველ მოადგილეს გიორგი სიბაშვილს კომპანია „პრიზას" ქონების მითვისებაში ადანაშაულებს, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

როგორც ხალვაშმა განაცხადა, სიბაშვილი კომპანია „პრიზას" კუთვნილი, „შევროლეს" მარკის მანქანით დადის, რომლითაც მისი მეუღლე სარგებლობდა.

— მანქანა, რომლითაც სიბაშვილი გადაადგილდება, ორი წლის წინ არის ნაყიდი, თუმცა თითქმის ახალია. კომპანიამ მასში 26 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა. სიბაშვილმა „პრიზას" ავტოპარკიდან მანქანა გვიან ღამით თავად წაიღო, — აცხადებს ქიბარ ხალვაში.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე განმარტავს, რომ მანქანა მეგობრისგან აქვს ნათხოვი, თუმცა არ აკონკრეტებს ვისგან. მანქანაზე არაოფიციალურად არის მიმაგრებული კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის კუთვნილი მანქანის „ნისან პატფაინდერის" სანომრე ნიშანი XX-300. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტის თამარ გურჩიანის განმარტებით, სიბაშვილს სატრანსპორტო საშუალება უნდა ჩამოართვან და დააჯარიმონ, მაგრამ საპატრულო პოლიცია დარღვევაზე რეაგირებას არ ახდენს.

**მედიანიუსი**

## „პრეზიდენტის ფავორიტმა" სერგი კაკალაშვილმა მასწავლებლობას მიჰყო ხელი

„პრეზიდენტის ფავორიტმა" სერგი კაკალაშვილმა მასწავლებლობას მიჰყო ხელი.

როგორც „პირველს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, ს?ს "კახეთის პურის" მეპატრონე ამიერიდან გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის საჯარო სკოლის მე-11 კლასელებს საქართველოს ისტორიას შეასწავლის. ამასთან, ცენტრი საზოგადოებას შეახსენებს, რომ 90-იან წლებში სერგი კაკალაშვილი მძიმე დანაშაულისთვის არის გასამართლებული.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კაკალაშვილის ლექსები პარლამენტში წაიკითხა.

**პირველი**

# საქართველოს ხელისუფლების შეცვლის უფლება უნდა მიეცეს

## სააკაშვილი საქართველოს მთლიანად დაშლის

შორენა კოწოწაშვილი

— ჰეიდი ტალიავინის „ფაქტების შემსწავლელი კომისიის“ დასკვნების საფუძველზე, მიხეილ სააკაშვილი იმხილება სამხედრო დანაშაულში და ემუქრება საერთაშორისო ჰააგის სასამართლო, — აცხადებს ლეიბირისტული პარტიის საერთაშორისო მდივანი ნესტან კირთაძე და დარწმუნებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტს აუსრულდება სიზმარი, რომლიც თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილს გაანდო.

როგორც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, სააკაშვილს თურმე ხშირად ესიზმრებოდა პროკურორი კარლა დე პონტე, რომელიც მას ჰააგაში ასამართლებდა. კირთაძე არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილს ტალიავინის კომისიის დასკვნის შემდეგ ეს სიზმარი მართლაც აუხდეს.

საერთაშორისო კომისიის მიერ დადებული დასკვნისა და მოსალოდნელი ნაბიჯების შესახებ ნესტან კირთაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

— იწყება ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო პერიოდი, როდესაც უნდა დასრულდეს მიხეილ სააკაშვილისა და მისი პროპაგანდისტული მანქანის ყალბი ეიფორია და ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და სინამდვილეში რა გავლენას მოახდენს ევროპული დასკვნა საქართველოზე და მის მომავალზე, — აღნიშნა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნესტან კირთაძემ. მისი თქმით, სააკაშვილი იმხილება სამხედრო დანაშაულში, რაც გამოიხატება შემდეგში: 1. ღია საომარი მოქმედებების დაწყება; 2. მასირებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელება, ცხინვალისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების წინააღმდეგ 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს; 3. სამხედრო ოპერაციის დროს აკრძალული იარაღის — კასეტური ბომბების გამოყენება; 4. არასამხედრო დანიშნულების, მშვიდობიანი ობიექტების დაბომბვა-განადგურება; 5. გაეროს მანდატით მოქმედი სამშვიდობო მისიის ჯარისკაცების ხელყოფა და ა.შ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, 2003 წელს საქართველო შეუერთდა რომის სტატუტს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2003 წლიდან საქართველოზე ვრცელდება ჰააგის სასამართლოს იურისდიქცია. სამხედრო დანაშაულის შესახებ რომის სტატუტის მე-8 და მე-17 მუხლები კი ასახავენ სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებს.

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლის აზრით, ადვილი წარმოსადგენია, საგამოძიებო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, რა რეალობის წინაშე დგას სააკაშვილი და საქართველოს პოლიტიკური მომავალი.

— საქართველოს ლეობორისტული პარტია ბრალს სდებს მიხეილ სააკაშვილს, მის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას საქართველის სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში: 2008 წლის აგვისტოს სისხლიანი მოვლენების განვითარებაში, როდესაც მიუხედავად ჩვენი და ევრო-დასავლეთის ლიდერების არაერთგზის გაფრთხილებისა, სააკაშვილი ერთპიროვნულად გამოვიდა კონსტიტუციის ფარგლებიდან და ჩაიდინა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა, რაც საქართველოსთვის დასრულდა ეროვნული კატასტროფით — უდიდესი ჰუმანიტარული მსხვერპლით და მატერიალური ზარალით; 35 000 დევნილით და ორი სეპარატისტული რეგიონის ნაცვლად, საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნით, — განაცხადა ნესტან კირთაძემ.

ლეიბორისტების მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილს ბრალი ედება საქართველოს ტერიტორიული დაშლის მომზადებაში, პოლიტიკურად, სამართლებრივად, იდეოლოგიურად და სამხედრო-შეიარაღებული მოქმედებებით.

— მივმართავთ ოფიციალურ ბრიუსელს და ვაშინგტონს, დაუყოვნებლივ დაიწყონ საგამოძიებო მოქმედებები, შეაფასონ საქართველოს დღევანდელი ლიდერის ავანტურისტული საქმიანობა და ჩამოაშორონ მიხეილ სააკაშვილი და მისი რეჟიმი



საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კვლავაც შექმნის არალოკალური ტიპის პრობლემებს და საფრთხის წინაშე დააყენებს რეგიონს და ზოგადად, საერთაშორისო სამშვიდობო ურთიერთობებს, — აღნიშნა ნესტან კირთაძემ.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელები მოითხოვენ, საქართველოს მიეცეს ხელისუფლების შეცვლის და მისი მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარების რეალური შესაძლებლობა, რათა კავკასიის გასაღები ქვეყანა — საქართველო — იქცეს აღმოსავლეთის და დასავლეთის მუდმივი თანამშრომლობის სივრცედ და არა სამხედრო კონფრონტაციის არენად.

ლეიბორისტული პარტიის წევრის თქმით, დასკვნასთანდაკავშირებით გაკეთებული კომენტარებიდან იკვეთება, რომ დასკვნას სრულად არ არიან გაცნობილი, მათ შორის ექსპერტებიც.

— დოკუმენტი არის უაღრესად რთულად და დაბალანსებულად შედგენილი და ამ შემთხვევაში თუ კომისიის წევრები, რომლებიც სხვადასხვა ინტერვიუებში მორიდებულად, მაგრამ მაინც მიმართავენ დაიწყოს საგამოძიებო მოქმედებები, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეში ჩაერთოს ჰააგის საერთაშორისო სს სასამართლოს გენერალური პროკურორი და არსებითი განხილვა დაიწყოს სასამართლოზე, — განაცხადა ნესტან კირთაძემ. მისი თქმით, სისხლის სამართლის საგამოძიებო მოქმედებების დაწყება იქნება მძიმე არამხოლოდ სააკაშვილისთვის, არამედ იქნება მძიმე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, თუკი კომისია ან რომელიმე დაინტერესებული მხარე გადაწყვეტს დაიწყოს საგამოძიებო მოქმედებები, ასეთ შემთხვევაში ავტომატურად ერთვება საქმეში საერთაშორისო სისხლის სამართლის გენერალური პროკურორი და ჰააგის საერთაშორისო სასამართლოზე ავტომატურად ირთვება რომის სტატუტის დოკუმენტი. ყველა ის ფაქტი, რაც დოკუმენტშია მითითებული და რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, ნესტან კირთაძის თქმით, ექვემდებარება სამხედრო დანაშაულს. ამიტომ ნათელაშვილის ტანპარტიელები მიიჩნევს, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლების პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ პასუხი უნდა აგონ იმ დანაშაულზე, რაც ჩაიდინა.

***— ქალბატონო ნესტან, რეალურად მხოლოდ ოპოზიციის მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილი ჰააგის სასამართლოს წინაშე წარდგება. რატომ კეთდება განსხვავებული შეფასებები, ტალიავინის დასკვნა ორმაგად იკითხება?***

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დოკუმენტი არ არის სრულად წაკითხული იმ ადამიანების მიერ, რომლებიც კომენტარებს აკეთებენ დასკვნასთან დაკავშირებით. განცხადება, რომ ეს არის თითქოს ყველაზე კარგად და ობიექტურად გაკეთებული დასკვნა, ეს არის ობივატელის მიერ გაკეთებული შეფასება. ეს არის ურთულესი დოკუმენტი, სადაც ევროპული კომისია იცავს გარკვეული ტიპის ბალანსს საერთაშორისო მიმართებით. მაგალითად, ტალიავინის საერთაშორისო კომისია ბოდიშს იხდის, რომ მან ვერ მოახერხა, ამ დასკვნაში მოქცეულიყო აშშ-ის ბუშის ადმინისტრაციის როლი ომამდე, ომის დროს და ომის შემდგომ პერიოდში. ეს უკვე მინიშნებაა დიპლომატიური ენით, რომ ევროპულმა კომისიამ თავი აარიდა ამერიკის თუნდაც წინა ადმინისტრაციის როლს მთელს ამ სამხედრო კონფლიქტში და ამავდროულად მიანიშნა ახალ ადმინისტრაციას, რომ ის თავად დაინტერესდეს და დაიწყოს საერთაშორისო საგამოძიებო მოქმედებები აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით. ასეთი ბალანსის და ასეთი ურთიერთობების, ანუ საერთო გლობალური პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად არის შედგენილი ეს დოკუმენტის ერთი, დასკვნითი ნაწილი, ხოლო დოკუმენტის მეორე, ფაქტოლოგიური ნაწილი არის უაღრესად მძიმე, ვინაიდან დოკუმენტები უფრო მეტ სიმძიმეზე მეტყველებენ, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია. მე პირდაპირ გეუბნებით, სააკაშვილი ტალიავინის დასკვნით პირდაპირ იმხილება სამხედრო დანაშაულში.

***— რატომ სხვა პოლიტიკური ძალების მიერ არ კეთდება მსგავსი შეფასებები?***

— ეს არის არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა.

***— ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ დასკვნით სააკაშვილი ჰააგის ტრიბუნალის წინაშე ვერ წარდგება.***

— რაც შეეხება ოპოზიციას, მათ ეს ან არ იციან ბოლომდე, ანდა სააკაშვილის გულშემატკივრები რჩებიან. მე ვეუბნები ჩემს კოლეგებს, ძალიან სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა ლიდერის ბედი, რომელიც ვარსკვლავებს ეთამაშებოდა, რეალურად შეიძლება ჰააგის სასამართლოს ტუსაღი აღმოჩნდეს. ეს სამწუხაროა, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, როდესაც ვხედავთ ჩვენს ეროვნულ კატასტროფას — ორი სეპარატისტული რეგიონის ნაცვლად ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნას, ჰუმანიტარულ კატასტროფას და ა. შ. ეს არის ჩვენი სახელმწიფოსთვის ერთიანობის და სუვერენობის წართმევა სრულიად შეგნებულად. ჩადენილი არის დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ღალატი. ჩადენილია გარიგება რუსულ მხარესთან, რის შედეგადაც ორ ქართულ ტერიტორიაზე დღეს არის რუსული სამხედრო ბაზა.

***— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს რომის სტატუტის არსებობა დაავიწყდა თუ შეგნებულად მოახდინა მისი იგნორირება. ფაქტია, ეს დოკუმენტი მისი ხელისუფლების პირობებში გაფორმდა.***

— როგორც ჩანს, სავარაუდოდ, ამას შევარდნაძეს უმზადებდა და იმიტომ შეიყვანა საქართველო ჰააგის სასამართლოს იურისდიქციაში, მაგრამ პირიქით, მას ეს დოკუმენტი უკან მოუბრუნდა.

***— შეიძლება ტალიავნის დასკვნიდან გამომდინარე საქართველოს ტერიტორიული დაშლის და დაკარგული ტერიტორიების აღიარების პროცესი გააქტიურდეს?***

— პირდაპირ გეუბნებით, რომ სააკაშვილის პირობებში საქართველოს დაშლა გაგრძელდება. ეს არის უტყუარი პასუხისმგებლობით ნათქვამი ჩემი სიტყვები. რაც შეეხება ჰააგის სასამართლოს, ეს მოხდება არა ამ დასკვნის საფუძველზე, არამედ ამ დასკვნის საფუძველზე დაწყებული საერთაშორისო საგამოძიებო მოქმედებების შედეგად.

# ადრე თუ გვიან რუსეთთან ლაპარაკი დაგვჭირდება

**ჰეიდი ტალიავინის კომისიის მიერ დადებული დასკვნა დიდი ხნის მსჯელობის მიზეზი იქნება. ამის შესახებ ექსპერტები სანამ კომისია დასკვნას დადებდა, მანამდე საუბრობდნენ. ტალიავინის დასკვნაში საუბარია რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკების აღდგენის შესახებ.**

ნათია ხურცილავა



გუშინ ახალი ინიციატივით უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოვიდა. უკრაინელი დიპლომატები მზად არიან, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის შუამავლის ფუნქცია იტვირთონ.

საქართველოში უკვე ამბობენ, რომ რუსეთთან საუბარი დაგვჭირდება და ეს პროცესი შესაძლებელია დაიწყოს. ვინ იქნება შუამავალი რუსულ-ქართული დიალოგის აღდგენაში, ეს უცნობია. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ინიციატივა უკვე გაახმოვანა უკრაინამ.

— ადრე თუ გვიან, დემოკრატიულ, თავისუფალ რუსეთთან დაგვჭირდება ლაპარაკი, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო თანამეგობრობის და თავისი მეზობლების წინაშე. ამიტომ, ჩვენ მივესალმებით ყველა ქვეყნის მზადყოფნას, მით უმეტეს, ჩვენი მოძმე უკრაინის მზადყოფნას, რომ შუამავლის როლი შეასრულოს, თუ ოდესმე რუსეთი მზად იქნება სერიოზულად განიხილოს ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემები, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

ერთ-ერთი საკითხი, რაზეც პრესკონფერენციაზე გრიგოლ ვაშაძემ ისაუბრა, ამერიკის ანტისარაკეტო სისტემას ეხებოდა. როგორც უკვე ცნობილია, ბარაკ ობამამ უარი თქვა ჩეხეთში ე.წ. ისკანდერების ანტისარაკეტო სისტემის განთავსებაზე. ამ პროექტმა შესაძლებელია კავკასიის რეგიონში გადმოიწიოს. რამდენად იქნება საქართველო განხილული ამ სისტემაში, ეს ჯერ ცნობილი არ არის. ამის შესახებ კომენტარებს არც ამერიკის შეერთებული შტატები აკეთებს და არც საქართველოს ხელისუფლება.

— რამდენადაც მე ვიცი, თავად ამერიკელებსაც არ აქვთ ზუსტი წარმოდგენა იმაზე, რისგან შედგება ეს სისტემა და სად უნდა იყოს ბაზირებული. გულწრფელად გეუბნებით, საქართველოსთვის ჯერჯერობით არავის მოუმართავს, რომ აღნიშნული სისტემის რაიმე ელემენტი განლაგდეს ჩვენს ტერიტორიაზე, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

## უკრაინა თბილისსა და მოსკოვს შორის შუამავლის ფუნქციის შესრულებას აპირებს

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფება. დანიელი დიპლომატი საქართველოში მეორე ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ის უკვე შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და პრეზიდენტს.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი არასაპარლამენტო ოპოზიციასთანაც აპირებს შეხვედრას.

გრიგოლ ვაშაძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დანიელი დიპლომატი სოხუმშიც აპირებს ჩასვლას. რა მიზნით ჩადის სოხუმში დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, უცნობია.

დანიელი დიპლომატის განცხადებით, მისი ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს.

საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიაში იმყოფებიან დანიელი მონიტორებიც. თავისი ვიზიტი დანიელმა დიპლომატმა სწორედ მათთან შეხვედრით დაიწყო.

## ბაკურციხის მოსახლეობა ათი წელია სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი

გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის მოსახლეობა ათი წელია სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი. ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილობრივებს ამ პრობლემის მოგვარებას წინასაარჩევნოდ არაერთხელ დაპირდნენ, მაგრამ მოსახლეობა, დღემდე, ძირითადად, წვიმის წყლით სარგებლობს. - აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ბაკურციხის მკვიდრის მერი ლუაშვილის განცხადებით, სოფლისთვის გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად იხარჯება. „როცა წვიმა მოდის, წვიმის წყალს ვიმარაგებთ, ვადუღებთ და ისე მოვიხმართ. ნაციონალები რადგან არ ვართ, წყალსაც არ გვაძლევენ“, - აცხადებენ ადგილობრივები.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურში განუცხადეს, ბაკურციხის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში თანხები გათვალისწინებული არ არის.

მედიანიუსი

## სოფელ მირზაანის მოსახლეობა სკოლის აღდგენას ითხოვს

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის მოსახლეობა სოფელში სკოლის აღდგენას ითხოვს. ადგილობრივები დახმარებისათვის საქართველოს პრეზიდენტს მიმართავენ.

როგორც მირზაანის მაცხოვრებლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, სკოლის გაუქმების შემდეგ სოფელი მოსახლეობისგან იცლება.

— სკოლის გაუქმების შემდეგ მოსწავლეთა ნაწილი სწავლის გასაგრძელებლად მეზობელი სოფლის ზემო მაჩხაანის სკოლაში გადავიდა, ბევრი ოჯახი სოფლიდან წავიდა, ბავშვების ნაწილი კი სკოლაში საერთოდ აღარ დადის. გარდა ამისა, სკოლა ერთადერთი დაწესებულება იყო სოფელში, სადაც ადგილობრივები ვიყავით დასაქმებულები, — განაცხადეს მირზაანის მაცხოვრებლებმა.

სკოლის დირექტორის ყოფილი მოადგილის ზოია ფიროსმანაშვილის ცნობით, ვინც სოფელში დარჩა, სკოლის აღდგენას ყველა ითხოვს, არც განათლების სამინისტროა წინააღმდეგი, მაგრამ 5 ათასამდე ლარი ვერსად იშოვეს, რომ სკოლის გაძარცული შენობა მოაწესრიგონ. ამ თანხის გამოყოფის თხოვნით მირზაანელებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

მედიანიუსი

# პედაგოგები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან

## ჩიორა თაქთაქიშვილის სიტყვას სააკაშვილის სიტყვაზე მეტი ფასი აქვს

ნათია ხურცილავა

**5 ოქტომბერი მასწავლებელთა მსოფლიო დღეა. ეს დღე ქართველმა მასწავლებლებმა მეგაფონებით და საპროტესტო პლაკატებით აღნიშნეს. მათი პროტესტის მიზეზი ის საკანონმდებლო ინიციატივაა, რომლის განხორციელებაზეც უარი თქვა საპარლამენტო უმრავლესობამ.**

საქართველოს პრეზიდენტმა 8 მაისს მასწავლებლებს პირობა მისცა, რომ კანონი მათ სასარგებლოდ შეიცვლებოდა. პრეზიდენტის ეს პირობა საკანონმდებლო ცვლილებას ითხოვს. ამისთვის ასი ათასი ხელმოწერაც შეაგროვეს მასწავლებლებმა და ნოტარიალურადაც დაამოწმეს. თუმცა, მასწავლებელთა პროფკავშირის ხელმძღვანელის მანანა ღურჭუმელიძის განცხადებით, მას პირადად დაუკავშირდა ორი პარლამენტარი ჩიორა თაქთაქიშვილი და ხათუნა ოჩიაური, რომლებმაც ღურჭუმელიძეს აუხსნეს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ჩავარდებოდა.

სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტეს მასწავლებლებმა, რომ პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია მოეწყოთ. აქციის მოსაწყობად მერიამ მასწავლებლებს სანქცია არ მისცა. მათ უთხრეს, რომ ლიტვის საელჩოს ჰქონდა გამოფენა პარლამენტის შენობის წინ. თუმცა, აღნიშნული არ დაადასტურეს ლიტვის საელჩოში.

მანანა ღურჭუმელიძე, მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე:

— იმ ინიციატივის სამართლებრივ დადასტურებას ვითხოვთ, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მასწავლებლებს დაპირდა. მიუხედავად ამისა, პარლამენტს ამ კანონპროექტის განხილვაც კი არ დაუწყია. მეტიც, რამდენიმე დღის წინ ხათუნა ოჩიაურმა და ჩიორა თაქთაქიშვილმა დამირეკეს და მითხრეს, რომ მასწავლებლების ყველა ინიციატივა პლენარულ სხდომაზე ჩავარდებაო. თუ რატომ ჩავარდებოდა, ამის პასუხი ვერ მივიღე.

— პრეზიდენტის დაპირება რას ეხებოდა?

— პირველ რიგში, უვადო კონტრაქტებს ეხებოდა, მასწავლებლებთან გრძელვადიანი ან უვადო კონტრაქტები უნდა გაფორმებულიყო. ასევე საკანონმდებლო ცვლილება ეხებოდა ეთიკის კოდექსს, მასწავლებელთა გადამზადებას, სერთიფიცირებისთვის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას. სახელმწიფოს უნდა აეღო თავის თავზე მასწავლებლების გადამზადების პროცესი. პრეზიდენტი დაგვპირდა, რომ ასევე ცვლილების შესაბამისად მასწავლებლების სამსახურიდან განთავისუფლება მიზეზის გარეშე შეუძლებელი უნდა გამხდარიყო. ფაქტიურად სწავლა ისე დავიწყეთ, რომ უამრავი მასწავლებელი თავის საქმეს ვერ ახორციელებს. 149-ე სკოლაში 9 მასწავლებელი ვერ შეუდგა მუშაობას. ნიქოზის სკოლაში მასწავლებლები უმიზეზოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან. იგივე მოხდა დედოფლის წყაროში. ამის მიზეზად 37 მუხლის „დ“ პუნქტი დასახელდა. ეს ის საკითხებია, რაც საკანონმდებლო ცვლილების გარეშეც უნდა გაკეთდეს, მაგრამ საკანონმდებლო ცვლილებასაც ვერ ვაღწევთ.

***— შესაბამისი კანონის გარეშე რა პირობებში უწევთ პედაგოგებს მუშაობა?***

— ძალიან მძიმე პირობებში. წარმოუდგენლად მძიმეა მათი მოღვაწეობა. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე თავისუფლდებიან სამსახურიდან. უამრავ სასამართლო პროცესზე გვიწევს გასვლა. ხშირად სასამართლო პროცესს ვერ ვიგებთ. ამის მიზეზი არის კანონი. კანონი, რომელიც უნდა შეიცვალოს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს საკანონმდებლო ინიციატივა შევიტანეთ პარლამენტში. ასევე უმძიმეს პირობებში უწევთ სკოლის დირექტორებსაც მუშაობა. ხელში მაქვს სკოლის დირექტორების განცხადება. სკოლების დაახლოებით 60 პროცენტი არის უმძიმეს მდგომარეობაში. ვაუჩერები არ ჰყოფნით. დირექტორის ხელფასი 140 ლარია. ტექნიკურ პერსონალს საერთოდ აღარ აქვს ხელფასი. სკოლამდელი განათლების წარმომადგენლებსაც ძალიან უჭირთ, არც დაზღვევა აქვთ და არც არავითარი სოციალური პაკეტი, მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტები აქვთ. სწორედ მათ მხარდასაჭერად ვატარებთ ამ აქციას. ინფორმაცია მაქვს, რომ ბაქრაძე აპირებს ორი კვირის ვადაში განხილული იყოს ჩვენი ინიციატივა. ვერ გეტყვით რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, მაგრამ ჩვენ იმდენად შეურაცხყოფილები ვართ, რომ არ შეიძლება გავჩერდეთ. თურმე პრეზიდენტის სიტყვაზე მაღლა ჩიორა თაქთაქიშვილის პოზიცია ყოფილა. თურმე, მერე რა, რომ პრეზიდენტი მასწავლებლებს დაპირდა. დღევანდელი ჩვენი აქციით ასევე შევეცადეთ, რომ როგორმე ხმა მივაწვდინოთ პრეზიდენტს.



***— თუ ეს საკანონმდებლო ინიციატივა არ განხორციელდა, რას აპირებთ?***

— შესაძლებელია ყველა ინიციატივამ ვერ მიიღოს კანონის სახე, მაგრამ ეს ინიციატივა, რომელიც ჩვენ უკვე პარლამენტს წარვუდგინეთ შეთანხმებულია, კონსულტაციები გავიარეთ, პრეზიდენტმა ამის შესახებ მასწავლებლებთან შეხვედრაზე ისაუბრა. ჩვენ ვხვდებოდით იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენენ და მათთან გვაქვს კონსულტაციები გავლილი. ამდენად, ვერ ვხვდები, რატომ არ უნდა იყოს მხარდაჭერა მათი მხრიდან. თუ ჩვენი კანონპროექტი არ განიხილეს და მას ისე მოეკიდნენ, როგორც მოეკიდნენ მას ჩიორა თაქთაქიშვილი და ხათუნა ოჩიაური, ამ შემთხვევაში ჩვენ ვაპირებთ შიმშილობა დავიწყოთ, გავიფიცოთ. ორი კვირის ვადას ვაძლევთ პარლამენტს. სწორედ ამ ვადაში უნდა გაირკვეს ეს საკითხი. პარლამენტმა განიხილოს ჩვენი ინიციატივა, მიიღებენ თუ არა, ეს მათზეა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი მასწავლებლებს დაპირდა, ვის როგორ უნდა დანაპირების შესრულება, ეს მეორე საკითხია. ჩვენ გვაქვს უფლება, კონსტიტუციის 67-ე მუხლი გვაძლევს ამის უფლებას, რომ კანონპროექტი შევიტანოთ. 100 ათასი ხელმოწერა შევაგროვეთ. როგორც ხათუნა ოჩიაურმა თქვა, საქართველოში პარლამენტარიზმის ისტორიაში ამდენი ხელმოწერა ნოტარიულად დადასტურებული არ შესულა. სამწუხაროდ, ეს არის პასუხი ყველა მოქალაქისთვის. ჩვენ ხომ არ ვაყენებთ ვინმეს გადადგომის საკითხს, იყვნენ ბატონო, მაგრამ კანონი შეიცვალოს. ამას ვითხოვთ, რომ უფრო ეფექტურად იმუშაონ სკოლის დირექტორებმა და მასწავლებლებმა.

რამდენად გაიხსენებს თავის დანაპირებს პრეზიდენტი, ვისი სიტყვა უფრო ფასობს, ჩიორა თაქთაქიშვილის თუ მიხეილ სააკაშვილის, ამას მასწავლებლები უახლოეს მომავალში გაიგებენ. და კიდევ, იყო თუ არა პრეზიდენტის დანაპირები რეალური თუ, უბრალოდ, პიარისთვის გათვლილი სიტყვის მასალა, ესეც მალე გამოჩნდება პარლამენტის უახლოეს სხდომაზე.

# ამ ხელისუფლებას კარგის გაკეთება არ შეუძლია

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ერთი სახელმწიფოს შიგნით მოექცეს. აი, ეს გააკეთა ჩვენმა დაუფიქრებელმა პროვოკაციულმა ქმედებამ ომის დაწყებით.

***— როგორ ფიქრობთ, ამ დასკვნის საფუძველზე შეიძლება გააქტიურდეს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესი?***

— ეს დასკვნა მოსალოდნელი დასკვნა იყო. ძალიან ახალი აქ არაფერია. შეიძლება ეს რომელიმე ქვეყნისთვის იყოს აღიარების საფუძველი, მაგალითად, იგივე ბელორუსიისთვის. არასდროს დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნები არ აღიარებენ ამ ტერიტორიებს. იმიტომ, რომ ეს არის მათ პრინციპებზე უარის თქმა. მაგრამ ისეთი ქვეყნები, როგორებსაც ასეთი პრეტენზიები არ აქვთ — ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა, აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა — ამათ შეიძლება აღიარონ. მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანი აფხაზეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს არ აღიარებენ იმიტომ, რომ მათ თვითონ აქვთ გარკვეული პრობლემები. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე არც სომხეთი, არც აზერბაიჯანი და არც თურქეთი არ წავა. სხვათა შორის, არა მგონია, რუსეთმა ინტენსიურად მოსთხოვოს სომხეთს და აზერბაიჯანს ამ ტერიტორიების აღიარება.

***— პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ დასკვნაში მითითებული ფაქტები იძლევა იმის საფუძველს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ჰააგის ტრიბუნალის წინაშე წარდგეს. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— მე არ შემიძლია ამის თქმა. იმიტომ, რომ ამ დასკვნის საფუძველზე ამას ვერ ვიტყვით. გენოციდში ბრალი ჩვენ არ გვედება. გენოციდში ბრალი არც უშუალოდ რუსეთს დასდებია. მაგრამ დასკვნაში წერია, რომ კავკასიელების მიერ ხდებოდა გენოციდი, რასაც რუსეთმა ხელი არ შეუშალა. საქართველო არის დადანაშაულებული გაუაზრებელი ომის დაწყებაში, რასაც მოჰყვა ადამიანური მსხვერპლი. ვფიქრობ, შიდა პროტესტი უნდა იყოს სააკაშვილის მიმართ უფრო მკაცრი, ვიდრე ვთქვათ, ჰააგის ტრიბუნალი და სხვა. მე ამის შესახებ ასეთი აზრი მაქვს. არ ვიცი, მოვლენები როგორ დალაგდება. ხალხმა კიდევ ერთხელ მკაცრად უნდა მოითხოვოს ამ ხელისუფლებისაგან გააზრებული მოქმედებები. თუ ეს არ შეუძლია, მაშინ ხელისუფალი უნდა გადადგეს და გზა ისეთ ძალებს დაუთმოს, რომელსაც ხალხი უფრო ენდობა.

***— უნდა გააქტიურდეს ოპოზიციის მოქმედებები?***

— მე მიმაჩნია, რომ აქტიური უნდა იყოს ოპოზიცია ყველაფერში. მე, მაგალითად, ამ მომენტში გართულება მაქვს იმაზე, რომ თბილისის მერიამ გააუქმა რეკრეაციული ზონები. ამაზე ჯერჯერობით სათანადო რეაგირება არ არის. უნდა გამოვიდეთ და მოსახლეობას გავაგებინოთ, რა საშიშროების წინაშე დგას თბილისი. მე მიმაჩნია, რომ რეაგირება ყველაფერზე უნდა მოხდეს როგორც ოპოზიციის, ისე საზოგადოების მხრიდან. ხელისუფლების არც ერთი ნაბიჯი არ უნდა დავტოვოთ რეაგირების გარეშე, რომელიც ქვეყანას და ხალხს რაიმე ზიანს მოუტანს. ხელისუფლებას უნდა მოვთხოვოთ და ის უნდა ვაიძულოთ სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს. მე პირადად, არ მაქვს იმის იმედი, რომ ამ ხელისუფლებას რაიმე კარგის გაკეთება შეუძლია. რეკრეაციული სტატუსი მოეხსნა დიღმის ტყეს, ხდება „მზიურის“ აოხრება. ეს იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქის ხელისუფლება დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი მიწა გაყიდოს და ფული აიღოს. ფაქტია, თვით მხედრიონის თარეშის დროს ვერ გაბედა ვერავინ იქ სახლები ჩაედგა. პარლამენტში შეტანილია კანონი, რომ ტყეების გაჩეხვა შეიძლება საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. ამ დროს არ არის მითითებული, რა არის ეს საზოგადოებრივი საჭიროება. ხალხის ინტერესების ასე აბუჩად აგდებას საზოგადოება ამ ხელისუფლებას ასე იოლად არ უნდა პატიობდეს. ამის გაპროტესტებაში ოპოზიციაც უნდა იყოს ჩართული და ხალხიც.

***— ფიქრობთ, რომ ალასანიას გუნდი შეძლებს სააკაშვილს ადგილობრივი არჩევნებით დედაქალაქის მმართველობა გამოსტაცოს?***

— მე მიმაჩნია, რომ ალასანიას გუნდში არიან ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი, ხელისუფლებას გაართვან თავი. ამ გუნდს კიდევ შესწევს უნარი, ასეთი ხალხი მოიზიდოს. რაც შეეხება სხვებთან კონსულტაციებს, ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა მითხრა, ჩვენ ძირითად კანდიდატებს დაველაპარაკეთო. კარგი იქნებოდა, უფრო საჯარო კონსულტაციები ყოფილიყო და ყველას დაენახა, რომ ერთ კანდიდატზე შეთანხმდნენ. აქ მეორე ფაქტორიც არის: არჩევნები ჯერ დანიშნული არ არის და ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ასე ვთქვათ, „ზადნი“ მისცეს. ამბობენ, საჭირო და აუცილებელი არ არის თბილისის მერის პირდაპირი არჩევნებიო. როცა არჩევნები ოფიციალურად დაინიშნება, ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, ოპოზიციამ ერთ კანდიდატს უნდა დაუჭიროს მხარი. ოპოზიციას უფლება არ აქვს კითხვის ნიშნის ქვეშ დასვას თბილისის მერის არჩევნები. თუ ოპოზიცია მერის არჩევნებში ერთი კანდიდატით გამოვა, დარწმუნებული ვარ, ოპოზიციის კანდიდატი გავა. ასე რომ, ასეთ საკითხებში ოპოზიციას მართებს ერთობა.

# საქართველოში „ნატოს დღეები“ დაიწყო

საქართველოში „ნატოს დღეები-2009“ ოფიციალურად გაიხსნა. ხუთდღიანი ღონისძიებების ფარგლებში, დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის კონფერენციების, შეხვედრების, პრეზენტაციების გამართვა. როგორც „მედიანიუსს“ საქართველოში ნატოს საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, კვირეული ნატო-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მომზადებული ღონისძიებაა, რომელიც პირველად, 2007 წელს ჩატარდა. კვირეულის ფარგლებში შეხვედრები გაიმართება სტუდენტებთან, არსამთავრობო ორგანიზაციებთან, პოლიტიკური პარტიათა წარმომადგენლებთან. ნატოს დღეებს ალიანსის სპეციალური დელეგაცია დაესწრება, რომელსაც 8 ოქტომბრიდან ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი რობერტ სიმონსიც შეუერთდება.

საქართველოში „ნატოს დღეები-2009“-ის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს რეგიონებში. სტუმრები ქუთაისს, ბათუმს და გურჯაანს ეწვევიან. როგორც „მედიანიუსს“ ნატოს საინფორმაციო ცენტრის აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, გიორგი გრიგორევმა აცნობა, დელეგაციას ბათუმში 7 ოქტომბერს ელოდებიან. დაგეგმილია კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ნავიგაციის ინსტიტუტში ნატოს სპეციალური კუთხის გახსნა და ახალგაზრდების ფეხით მსვლელობა საქართველო-თურქეთის საზღვართან.

გიორგი გრიგორევის თქმით, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ეს სამაგალითოა ქართველი ახალგაზრდებისთვის. აჭარაში დაგეგმილ ღონისძიებებს ადგილობრივი მთავრობა და ბათუმში მყოფი თურქი სტუდენტებიც დაესწრებიან.

ნატოს დღეების გახსნის საზეიმო ცერემონიალი სასტუმრო „ქორთიად მარიოტში“ გაიმართა. მას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, ქართველი ექსპერტები და სპეციალურად ამ დღისთვის ბრიუსელიდან ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ. საქართველოში ნატოს კვირეული 9 ოქტომბერს დასრულდება. მას მუსიკისა და დრამის თეატრში სპექტაკლ „მარლენ დიტრიხის“ ჩვენება დაასრულებს.

**მედიანიუსი**

# საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრის დელიმიტაციის საკითხები განიხილეს

თბილისში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ორმხრივი შეხვედრა საქართველოსა და სომხეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხებზე. სომხეთის დელეგაციას სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე შავარშ ქოჩარიანი ხელმძღვანელობდა, საქართველოსას კი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია.

შეხვედრაზე დაფიქსირდა საზღვრის არადელიმიტირებული მონაკვეთების შესათანხმებლად მხარეთა მიდგომებს შორის დაახლოება და საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელი ორმხრივი დიალოგის გააქტიურების სურვილი.

ორივე მხარის ექსპერტებს მიეცათ დავალება, არადელიმიტირებული მონაკვეთების შეთანხმების მიზნით, კონკრეტული წინადადებების წარმოდგენის შესახებ.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ დელეგაციათა მორიგი შეხვედრის დრო და ადგილი შეთანხმდება დიპლომატიური არხებით.

**მედიანიუსი**

# ბავშვის დასჯა მის გონებრივ განვითარებას აფერხებს

ბავშვის ფიზიკური დასჯა გონებრივი განვითარების შეფერხებას იწვევს, — დაასკვნიან აშშ-ის ნიუ-გემპშირის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერები.

ინტერნეტგამოცემა "მედპორტალ.გეს" ინფორმაციით, შესაბამისი კვლევა სასწავლებელში 40 წლის განმავლობაში ტარდებოდა. როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ადამიანების ინტელექტუალური დონე იმაზე არის დამოკიდებული, სჯიდნენ თუ არა მათ მშობლები ფიზიკური ძალის გამოყენებით. როგორც გაირკვა, ვინც ბავშვობისას ასე არ ისჯებოდა, უფრო მაღალ გონებრივ აქტივობასა და გამჭრიახობას იჩენდა.

კვლევის ხელმძღვანელის, პროფესორ მარეი სტრაუსის მოსაზრებით, დასჯა ბავშვებში შიშს იწვევს. ეს კი მათ სწავლასა და გარესამყაროს შემეცნებაში სერიოზულად უშლის ხელს.

ცნობისათვის: ევროკავშირის რიგ ქვეყნებში მშობლების მიერ ბავშვების ფიზიკური დასჯა კანონით იკრძალება.

**მედიანიუსი**




# რუსთაველის თეატრი ახალ სეზონს პრემიერით ხსნის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მასში რუსთაველის თეატრის თითქმის მთელი დასია დაკავებული, — ითქვა შეხვედრაზე.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია რობერტ სტურუა, რეჟისორი — გურამ ბრეგაძე, კომპოზიტორი — გია ყანჩელი, მხატვარი — გოგი ალექსი-მესხიშვილი, ქორეოგრაფი — კოტე ფურცელაძე, ლოტბარი — მ. თალაკვაძე, სპორტული კონსულტანტები — კ. ხოშტარია და გ. გასპარიანი, კონსულტანტი-ილუზიონისტი — ზურაბ ვადაჭკორია, რეჟისორის თანაშემწე კი მარინა ამაღლობელია. სპექტაკლისათვის მუსიკა ჩაწერა ინსტრუმენტულმა ჯგუფმა დავით მალაზონიას ხელმძღვანელობით (მუსიკოსები პაატა ანდრიაძე, ნოდარ ექვთიმიშვილი, გიორგი სალაღიშვილი).

სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახობები: ბიდერმანი — ზაზა პაპუაშვილი, ბაბეტა — ნინო კასრაძე, შმიტცი — ბესო ზანგური, მარიო — დავით დარჩია, დავით გოცირიძე, პროფესორი — თემიკო ჭიჭინაძე, პაატა გულიაშვილი, ანა — ია სუხიტაშვილი, ქალბატონი კრესტლინგი — დარეჯან ხარშილაძე. მეხანძრეებს კი განასახიერებენ: ნანა ლორთქიფანიძე, ნინო არსენიშვილი, ნინო თარხან-მოურავი, ეკა მინდიაშვილი, ნინო მაყაშვილი, რუსუდან მაყაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, ქეთი ხიტირი, ქეთი სვანიძე და ლელა ახალაია. სპექტაკლი 2 საათსა და 40 წუთს გრძელდება.

რუსთაველის თეატრი მადლობას უხდის მსახიობ ალან რიკმანს ფინანსური მხარდაჭერისათვის. რუსთაველის თეატრმა ჯერ კიდევ ზაფხულში თბილისში ჩამოსული ბრიტანელი მსახიობისთვის ეს სპექტაკლი დახურული ტიპით გაითამაშა. ცნობილი ბრიტანელი მსახიობი ალან რიკმანი სამშობლოში გამგზავრებამდე საქართველოში ბრიტანეთის ელჩმა დენის კიფმაც მიიღო.

— ძალიან განვიცადე გასულ წელს თქვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. მიყვარს საქართველო და ჩემი ქართველი მეგობრები. თან გავიგე, რომ რობერტ სტურუა ახალ სპექტაკლს დგამს და ძალიან მინდოდა ამ ნამუშევარის ნახვა, რაც მოვახერხე კიდეც და ძალიან მიხარია. რობერტი ძალიან ნიჭიერი ადამიანია, იგი ჩემი მეგობარია და ვიცი, რომ მის სპექტაკლებში სიახლე და განსაკუთრებული ხედვა ყოველთვის იქნება. რუსთაველის თეატრში სამი დღის განმავლობაში შექსპირის „ჰენრი V" იყო წარმოდგენილი, რამაც საზოგადოების მხრიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში გემოვნება კულტურული განხრით, ნამდვილად საკადრის სიმაღლეზეა. იმედი მაქვს, მსგავსი პროექტები კიდევ მრავლად იქნება საქართველოში, რაც ორი ქვეყნის — ბრიტანეთისა და საქართველოს შემდგომ ურთიერთთანამშრომლობას შეუწყობს ხელს, — განაცხადა მაშინ ბრიტანელმა მსახიობმა.

ცნობილმა ბრიტანელმა მსახიობმა 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ქართველი ხალხისადმი მეგობრობის ნიშნად, რუსთაველის თეატრში სამი დღის განმავლობაში უილიამ შექსპირის „ჰენრი V" ორიგინალში წარმოადგინა.

რაც შეეხება უშუალოდ სპექტაკლს „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი", პრესკონფერენციის მასპინძლებმა განაცხადეს:

**ზაალ ჩიქობავა:**

— ჩვენს თეატრში ახალი სეზონი იხსნება პრემიერით, ძალიან მნიშვნელოვანი სპექტაკლით. ჩვენთვის ძალიან ძვირფასია, რომ კვლავ გაერთიანდნენ ბატონი რობერტ სტურუა, ბატონი გია ყანჩელი, ბატონი გოგი ალექსი-მესხიშვილი და განახორციელებენ ახალ სპექტაკლს. ამ სპექტაკლის პატრონი გახლავთ ალან რიკმანი, რომელიც ფინანსურად დაგვეხმარა.

**რობერტ სტურუა:**

— ამ სპექტაკლზე ძალიან ვიწვალე. დიდი ცვლილება მოხდა სპექტაკლში. ბევრი კარგი სცენა ამოვყარეთ, იმიტომ, რომ ასე დასჭირდა სპექტაკლს. პრემიერამდე დამუშავება დასჭირდა სპექტაკლს. ძალიან რთული პიესაა, ასეთი წამებით ჯერ სპექტაკლი არ დამიდგამს.

გია ყანჩელი:

— ამ სპექტაკლისთვის მუსიკას დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც „კავკასიურ ცარცის წრეს", ან უფრო ადრინდელ სპექტაკლს „ხანუმას". პრემიერაზე მოსული მაყურებლისთვის შეიძლება ასოციაციებიც გაჩნდეს ამ სპექტაკლსა და დღევანდელობას, მდგომარეობას შორის, თუმცა ვიღაცა შეიძლება ისე ჩაითრიოს სპექტაკლმა, არც კი გაახსენდეს, რა ხდება ჩვენს რეალობაში.

რუსთაველის თეატრის პრემიერების პარალელურად 10 ოქტომბერს საქართველოს ორი თეატრი: ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრი და ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი თბილისში გასტროლებს გამართავს და თავისი რეპერტუარიდან სპექტაკლებს წარმოადგენენ.

თელავის თეატრი თბილისელ მაყურებელს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე სპექტაკლს „სამოთხის კვარტეტი, რაული და სხვები" შესთავაზებს, რომელიც რეჟისორმა გოგი ჩაკვეტაძემ თამაზ ჭილაძის ნაწარმოების მიხედვით დადგა. სპექტაკლის მხატვარი მაია სხირტლაძეა, ქორეოგრაფი — მანანა ჯიმშიტაშვილი, მუსიკალური გაფორმება — ნოდარ ბერუაშვილი, რეჟისორის თანაშემწე კი — მაყვალა ძამუკაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ: მაია ბესტავაშვილი, ვენერა ფეიქრიშვილი, ნინო კურტანიძე, ნონა ხუმარაშვილი, ზურაბ ლომიძე, მალხაზ ჩიდრაშვილი, მაკა გრემელაშვილი, ეთერ ბაბილაშვილი, ავთო გულიაშვილი, გიორგი გელაშვილი. სპექტაკლის პრემიერა 2008 წლის 4 დეკემბერს გაიმართა.

რუსთაველის თეატრის დიდი სცენა კი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრს დაეთმობა. დედაქალაქში რეჟისორი გიორგი სიხარულიძე ქუთაისელ მსახიობებთან ერთად ტოლსტოის „ანა კარენინას" წარმოადგენს.

თელავისა და ქუთაისის თეატრების სპექტაკლებზე დასასწრები ბილეთები 5-დან 12 ლარამდე ღირს.


X-XIII საუკუნის ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



აქ მოღვაწე ბერებმა საქართველოს შემოუნახეს კვართი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა, წმიდა ნაწილები, წმ. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი და სხვა სიწმიდეები.

გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის გრიგოლის ლოცვა-კურთხევით დაიწყო ტაძრის რესტავრაცია.

დარეკეთ ჯეოსელიდან, ბილაინიდან და მაგთიდან ნომერზე 700 607 და შეეწიეთ ამ წმიდა საქმეს.

ზარის ღირებულებაა 1 ლარი.

ინფორმაციისათვის დარეკეთ

895 955 129

ს.ს. „სახალხო ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101465.

მიმღები ღვთისმშობლის ხარების სახელობის დედათა მონასტერი.

ანგ.№ 36010892


# შალვა ამირანაშვილის 110 წლის იუბილეს გამოფენა ეძღვნება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა გაიმართება.

— ეროვნულ მუზეუმში წარმოდგენილი გამოფენის მიზანია წარმოჩინდეს ღვაწლმოსილი მეცნიერის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია შალვა ამირანაშვილის მიერ მოძიებული და სამშობლოში დაბრუნებული 100-მდე ექსპონატი. გამოფენაზე დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს XIX საუკუნის სამეფო ვერცხლის ჭურჭელი, საეკლესიო სარიტუალო დანიშნულების ნივთები და სამღვდელმთავრო ნაქარგი სამოსი, უფლისციხის არქეოლოგიური მასალა, შუა საუკუნეების სვანეთის ფრესკის ასლები და გვიანი შუა საუკუნეების ხატები, რელიეფური ქანდაკების ფრაგმენტები. ახალი და თანამედროვე, დასავლეთ ევროპის ქვეყნების და რუსული ხელოვნების მხატვართა ფერწერული ნამუშევრები. ასევე საქართველოს ეროვნული არქივისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცული საარქივო დოკუმენტები, პირადი წერილები და ნივთები, სამეცნიერო ნაშრომები, აუდიო, ვიდეო და ფოტო მასალა, — განმარტავენ მუზეუმში.

შალვა ამირანაშვილი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში 1928 წლიდან მოღვაწეობდა, ხოლო 1939-1975 წლებში იგი სათავეში ედგა ქართული კულტურის საგანძურს. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთიდან საქართველოში ქართული ძეგლების დაბრუნებაში, ხოლო 1945 წელს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად საფრანგეთიდან ჩამოიტანეს ეროვნული განძი.

— შალვა ამირანაშვილი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრას. იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „უბისის მოხატულობა", „ქართული კედლის მხატვრობის ისტორია". მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნარკვევი „ბექა ოპიზარი". მრავალი წლის მანძილზე იგი შეისწავლიდა ქართულ მინიატურას და გამოსცემდა შრომებს „ქართული მინიატურა", „ვეფხისტყაოსნის დასურათებული მინიატურა".

შალვა ამირანაშვილის ნაშრომი „ქართული მინანქარი" ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა.

— განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი მონოგრაფია „ირანული დაზგური ფერწერა", ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ხელოვნების ისტორია". სწორედ მისი ფასდაუდებელი ღვაწლის გამო 1990 წელს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს შალვა ამირანაშვილის სახელი მიენიჭა.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში შალვა ამირანაშვილის 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა 10 ნოემბრამდე გაგრძელდება.

# დოდო ჭიჭინაძეს მაყურებელმა ვარსკვლავი გაუხსნა

ეკა ირემაშვილი

ქართული კინოსა და თეატრის ცოცხალი ლეგენდა დოდო ჭიჭინაძე ამიერიდან ვარსკვლავოსანია. კინოთეატრ „რუსთაველის" წინ ნატო ვაჩნაძის, ოთარ კობერიძისა და ლეილა აბაშიძის შემდეგ დოდო ჭიჭინაძის ვარსკვლავი გაიხსნა.

ვარსკვლავის საზეიმო გახსნამდე კი კინოთეატრ „რუსთაველში" ხელოვანის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელშიც მისმა კოლეგებმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა.

საქართველოს დამსახურებულ არტისტს, საქართველოს სახალხო არტისტს დოდო ჭიჭინაძეს სულ მალე 85 წელი შეუსრულდება. ქუთაისში დაბადებულმა ხელოვანმა საქართველოს კინოსტუდიასთან არსებული კინომსახიობის სტუდია დაამთავრა, 1950 წლიდან კი იგი კოტე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. ვარსკვლავოსანმა მსახიობმა თეატრსა თუ კინოში ათეულობით როლი ითამაშა.

დოდო ჭიჭინაძის შემოქმედების თაყვანისმცემელმა კინოთეატრ „რუსთაველში" მრავლად მოიყარეს თავი, ოვაციებითა და ბრავოს შეძახილებით გახსნეს მისი ვარსკვლავი და მსახიობი ყვავილებით დაასაჩუქრეს.

**დოდო ჭიჭინაძე:**

— ამდენი ხალხი თუ მოვიდოდა ჩემი ვარსკვლავის გახსნაზე, ნამდვილად არ მეგონა. ძალიან მიყვარს თითოეული ჩემი მაყურებელი და ულრმეს მადლობას ვუხდი მათ ასეთი სითბოსა და სიყვარულისთვის. თქვენ გენაცვალეთ, დიდი მადლობა.

**ლეილა აბაშიძე:**

— უფალმა უხვად დააბერტყა კალთა ჩემს საყვარელ დოდოს. თუკი რამე შეიძლება კარგი იყოს, ყველაფერი მისთვის გამოიმეტა ღმერთმა — სილამაზე, ხალხის უზომო სიყვარული, ნიჭიერება. ნამდვილი ბედნიერებაა, როცა შენი მაყურებელი ასე გაფასებს და უყვარხარ. ვულოცავ დოდოს ვარსკვლავის გახსნას და ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ასეთ სიხარულს კიდევ მრავლად ვუსურვებ.

**ოთარ კობერიძე:**

— დოდო უნიჭიერესი მსახიობია. ყოველთვის კარგად მახსენდება მასთან ერთად მუშაობა ფილმზე „ბაში აჩუკი". დოდო ნამდვილად ღირსეული ვარსკვლავია თავისი სილამაზით, ნიჭით. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კინოს წარმატებაში, ამიტომ სულითა და გულით ვულოცავ მას ამ ბედნიერ დღეს.

დავით ოქიტაშვილი, ღონისძიების ორგანიზატორი:

— როგორც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ისე განსხვავდება თითოეული ვარსკვლავოსანი ხელოვანის სახელობის ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი. დოდო ჭიჭინაძე ნამდვილად გამორჩეული ხელოვანია ქართულ თეატრსა და კინოში. მართალია, ვარსკვლავების გახსნის ინიციატორი ვარ, მაგრამ მისთვის ეს ვარსკვლავი არც მე გამიხსნია და არც კულტურის სამინისტროს. დოდო ჭიჭინაძეს ვარსკვლავი მადლიერების ნიშნად ერთგულმა მაყურებელმა, ხალხმა გაუხსნა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალბატონი დოდოს სახელი უკვე უკვდავყოფილია. ვულოცავ და მიხარია, რომ ყველანაირი ღელვა და ნერვიულობა უკვე წარსულს ჩაბარდა.


## განცხადებები

● ოსტეოპარეზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების, კოქსართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილის აღდგენა და ტკივილის სინდრომის მოხსნა მცენარეული ძვლის მკვებავი და აღმდგენი პრეპარატებით. ტელ: 858-21-77-93 ქ-ნი ფატი.

● ქირავდება საოფისე ფართი ალმაშენებლის №93-ში, 35 კვ.მ. მეტრო „მარჯანიშვილთან" ახლოს, I სართული, გამოდგება ნოტარიუსის, კომერციული საქმიანობის, მანქანების ლომბარდის, სესხება-გასესხების, სილამაზის სალონისთვის. არის სველი წერტილი, ნათელი ბინაა რკინის კარებით, გისოსებით. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.

● პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით და წურბელებით, მალამოებით უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, რადიკულიტს, თმის ცვენას, ბუასილს ოპერაციის გარეშე, განგრენის საწყის ფორმას, წითელ ქარს, ტროპიკულ წყლულს, დაწყლულებულ ფეხებს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, პიგმენტურ ლაქებს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ცხიმგროვას თვალებზე, პეპატიტს A,B,C. საერთო მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია. ტელ: 893-39-04-87; 96-38-27. ალმაშენებლის 93.

● გირავდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა ვარკეთილის მეტროსთან ზემო პლატოზე მე-9 სართულზე. ტელ. 871 22 45 62

● ექიმი გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, მათ შორის სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებს და ბუასილს. ორსულთა კონსულტაცია უფასოა. ტელ:. 99-95-33;

● სიმსუქნე, დიაბეტი, თქვენ სამუდამოდ გათავისუფლდებით ამ პრობლემებისაგან. გთავაზობთ ევროპულ მრავალგზის გამოცდილ მცენარეულ საშუალებას. ტელ: 898-85-69-38 ბექა.

● შიშები, ნევროზი, უძილობა, დეპრესია, კლიმაქსური ფონი, ჭარბთმიანობისგან განკურნება ეპილაციის გარეშე, 100%-ით. ბიომალამოთი, უმტკივნეულოდ. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78 ქეთევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ასევე იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა და ტკივილი შარდვისას, მამაკაცური ფუნქციის სწრაფი აღდგენა-შენარჩუნება. მკურნალობა 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38 ან 858 968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი ზრდა თვეში 3-5 სმ. მომატებით, 25 წლამდე გარანტიით, ასევე გახდომა-გასუქება აკრძალვების გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით, მკურნალობა 100%-იანი შედეგით, იმუნიტეტის გაძლიერებით. ტელ: 34-02-38 ან 895 293-299 ექიმი ქ-ნი ინგა.

● მხოლოდ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქციით ვმკურნალობთ: ნევროზს, უძილობას და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ტელ: 898-201-101 იკითხეთ ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყავით ტანადნი და ჯანმრთელნი! წონაში სწრაფად კლება და მომატება, ჭარბთმიანობა, თმის ცვენა, ორგანიზმის გაწმენდა უნიკალური მცენარეული საშუალებებით, ოპერაციის გარეშე საკვერცხის კისტის, მიომას, ჩიყვის, კუჭის წყლულის, ბუასილის მკურნალობა 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 34-02-38; 855 49-50-38 ნინო.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 57-66-90 (საღამოს); 899-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● იყიდება მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვაზე 1500მ². კვმ-ის ფასი 22 დოლ. (ლოტკინის მთაზე ტრამვაის ხაზთან). 855 63-14-17.

● პროსტატიტით გამოწვეული პრობლემების მოხსნასა და მამაკაცური პოტენციის მოწესრიგებაში დაგეხმარებით ამერიკული მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 855-98-49-35 კონსულტანტი ბელა.

● მოვამზადებთ ქართული და ინგლისურენოვანი სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკურ საგნებში და ზოგად უნარებში, აგრეთვე „ჯიმათის" სპეცპროგრამაში. ან დავეხმარებით მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში. ტელ: 39-08-42 ნატალია; 34-42-67, 898-36-29-49 გიორგი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871 33-01-61.

● მოვამზადებ ქართული და ინგლისურენოვანი სკოლის მოსწავლეებს ინგლისურში, აგრეთვე „ტოიფელისა" და „ჯიმათის" სპეცპროგრამებში. ტელ: 898-36-29-49; 34-42-67 გიორგი.

# მორიგი დებიუტანტი და ნაბიჯი ანტირეკორდამდე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხებ ფედერაციაში უკვე იციან, თუმცა, მის ნაცვლად ჯერ არავინ გამოუძახებიათ.

პირველ მატჩში ნაკრებს ვერ დაეხმარება ლევან კობიაშვილიც, რომელსაც ყვითელი ბარათების გადაჭარბებული რაოდენობა აქვს. კუპერის სრული სია კი ამ მატჩებისთვის ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლომაია (ინტერი, აზერბაიჯანი), ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია);

მცველები: კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ნიუკასლი, ინგლისი) გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი), გურამ კაშია (დინამო), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები: ლევან კობიაშვილი, ლევან ყენია (ორივე შალკე, გერმანია), დავით ოდიკაძე (ინტერი, აზერბაიჯანი), ლევან ხმალაძე (დინამო), ლუკა რაზმაძე, ჯაბა ლიპარტია (ორივე ვიტ ჯორჯია), ლევან ცქიტიშვილი (უკლუბო);

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი (მაკაბი, ისრაელი), ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი).

როგორც ხედავთ, კუპერის განკარგულებაში კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი — ჯაბა ლიპარტია პირველად მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ნაკრების შეკრებაში, ხოლო მიეცემა თუ არა თამაშის საშუალება, ამას არგენტინელი სპეციალისტი ზედ მატჩის წინ გადაწყვეტს.

კუპერის განკარგულებაში არიან ახალგაზრდული ნაკრების წევრები — ყენია, მჭედლიძე, სანაია. ამ სამეულიდან კუპერმა მჭედლიძე არ დაუთმო ოთარ გაბელიას, ხოლო ყენია 10 ოქტომბერს ირლანდიის ნაკრებთან ითამაშებს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში და ეროვნულ გუნდს მხოლოდ ბულგარეთთან თამაშისთვის შეუერთდება. რაც შეეხება სანაიას — „ლე მანის" ფეხბურთელმა ახალგაზრდული ნაკრების ბოლო მატჩში (თურქეთთან 4:0) წითელი ბარათი მიიღო და უფლება არ აქვს გუნდს დაეხმაროს, სამაგიეროდ, ეს ფაქტი ხელს არ უშლის ეროვნულ ნაკრებში ითამაშოს და ამიტომაც არის კუპერის განკარგულებაში.

შესამჩნევია ისიც, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კუპერმა გუნდში დააბრუნა ალექსანდრე იაშვილი, რომელსაც ბოლო დროს არ სწყალობდა.

ჩერნოგორიასთან მატჩი 10 ოქტომბერს პოდგორიცას „სითი სტედიუმზე" გაიმართება და ჩვენი დროით 21 საათზე დაიწყება. შეხვედრას თურქი მსაჯები მოემსახურებიან — სელჩუკ დერელი (მთავარი მსაჯი), მუსტაფა ემრე ეუსიო, ერდინ სეზერტამი (თანამსაჯები) და ფირათ აუდინუში (მეოთხე მსაჯი).

# ნიუკასლში ქეცბაია ისევ ახსოვთ

მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრების მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა კლუბი შეიცვალა და „ბლექბერნიდან" 3-თვიანი იჯარით გადავიდა „ნიუკასლში", უკვე 3 მატჩის ჩატარება მოასწრო ახალი გუნდის მაისურით.

ხიზანიშვილი, როდესაც ბლექბერნული კლუბის ძირითადში ხვდებოდა, ბრიტანული პრესა მისით ყოველთვის იყო დაინტერესებული, მაგრამ „ბლექბერნის" ახალმა მწვრთნელმა სემ ელერდაისმა ჩვენებურს ფეხბურთის თამაში მოანატრა და მედიამაც მიივიწყა. თუმცა, „ნიუკასლში" გადაბარგებული ხიზანა, რომ იტყვიან, ხელმეორედ გაცოცხლდა და ისევ ყურადღების ცენტრშია.

— ჩემპიონლიგაში უფრო დატვირთული კალენდარია, ვიდრე პრემიერლიგაში. მარტო გასულ კვირაში 3 მატჩი ვითამაშეთ, რაც არანორმალურად დამღლელია. თუმცა, დიდი ხნის უთამაშებლობის შემდეგ ეს პრობლემა არ მაღელვებს — თამაშს მოწყურებული ვარ. სწორედ ამის გულისთვის ჩამოვედი „ნიუკასლში" და თამაში მინდა. საერთოდ, „ნიუკასლი" ძალიან გუნდია თავისი ტრადიციებით და გულშემატკივრებით. მათ თვალწინ თამაში დიდი სიამოვნებაა. „ნიუკასლი" არ იმსახურებს ჩემპიონლიგაში თამაშს და იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს უკვე პრემიერლიგაში ვიქნებით, — განაცხადა ხიზანიშვილმა, რომელმაც განვლილ 3 მატჩში ხან მარჯვენა მცველად, ხანაც დაცვის ცენტრში ითამაშა.




ხიზანიშვილის გამოჩენა „სენტ ჯეიმს პარკზე" იმითიც დააინტერესა გულშემატკივრები და ჟურნალისტები, რომ მათ ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ იქ მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი თემურ ქეცბაია. საქართველოს ნაკრების ყოფილი შემტევი თვით დიდი ალან შირერის თანაგუნდელი იყო და საფეხბურთო კარიერის გარდა იქაურებს თავი იმითიც დაამახსოვრა, რომ „ბოლტონთან" გატანილი გოლის შემდეგ მეტოქის კარს უკან მდგარ სარეკლამო დაფებს ფეხი ურტყა. ხიზანიშვილი კი თავისი გმირის მსგავსად არ აპირებს გოლის გატანით გამოწვეული სიხარულის გამოხატვას.

— ეს მომენტი კარგად მახსოვს, მაგრამ ასე არ გამოვხატავ გოლის გატანას, უბრალოდ თანაგუნდელენთან ერთად აღვნიშნავ, თუკი მართლაც მოვახერხე და გავიტანე. თემური ჩემი კარგი მეგობარია და ჩვენი მეგობრობა ყველაზე უფრო „დანდიში" თამაშისას გამყარდა, სადაც ქეცბაიამ 6 თვე ითამაშა. საქართველოს ნაკრებში 17 წლის ვიყავი რომ დავიწყე თამაში და თემურთან ერთად 5-6 წელი ვითამაშე. ბედნიერი ვარ, რომ მისი კვალი „ნიუკასლში" უნდა გავაგრძელო, რადგან ვიცი, რამდენად პოპულარულია თემური აქ. როდესაც ჩემი ჩამოსვლისთანავე გაიგეს ქართველი ვიყავი, ყველა იმას მეკითხებოდა თუ როგორ არის თემური. პირადად, მის ყველა თამაშს ვადევნებდი თვალს როდესაც „ნიუკასლში" თამაშობდა. და არა მარტო მე — ძალიან ბევრი ადამიანი საქართველოდან. სწორედ იქიდან მქონდა ოცნება მეთამაშა ისეთი დონის კლუბში, როგორიც „ნიუკასლია". ყოველთვის დიდი მნიშვნელობა თუ როგორ კლუბში თამაშობს ფეხბურთელი. „ნიუკასლი" რომ არა, შესაძლოა, ჩემპიონლიგაში თამაშს არ დავთანხმებულიყავი, რადგან აქ ვერ ხედავ უეინ რუნის, სტივენ ჯერარდს, ფრენკ ლამპარდს. თუმცა, ახლა აქ თამაში და გუნდის შესაძლებლობა მაძლევს იმის საშუალებას, რომ ისევ ვიფიქრო მათთან თამაშზე და პრემიერლიგაში გადასვლაზე, — დასძინა ხიზანიშვილმა.

# იტალიურ-ესპანური ჯახი ინგლისში

ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურში გამორჩეული მატჩი უდავოდ „ჩელსი" — „ლივერპული" იყო, რომელიც ლონდონელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:0. გოლები ნიკოლა ანელკამ და ფლორიან მალუდამ გაიტანეს. ამ მოგებით „ჩელსიმ" უშუალო კონკურენტთან სხვაობა 6 ქულამდე გაზარდა, ამასთან, კარგად გამოიყენა კიდევ ერთი კონკურენტის, „მანჩესტერის" წაფორხილება და ცხრილის სათავეში მოექცა.

ლონდონელთა მთავარი მწვრთნელის კარლო ანჩელოტის აზრით, გუნდი ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს სეზონის დასაწყისში.

— არაფერი საშიში არ მომხდარა, არც რაიმე წნეხის ქვეშ მოვქცეულვართ. წავაგეთ ერთი თამაში, ცუდად ვითამაშეთ მეორეში, მაგრამ ამის შემდეგ ძალიან დიდი მუშაობა გავწიეთ და „ლივერპულთან" მატჩმა დაამტკიცა, რომ ყველა პრობლემა მოგვარებული გვაქვს. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება. ნურც იმაზე ვიდავებთ, რომ გამარჯვება რთულად მოვიდა — მეტოქეც სერიოზული გყავდა. მთელი თამაშის განმავლობაში ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით. პირველი ტაიმი უფრო მშვიდი იყო და გუნდები ცდილობდნენ შეცდომა არ დაეშვათ. გოლის შემდეგ უკვე საშუალება მოგვეცა კონტრშეტევებზე აგვეწყო თამაში, რადგან მეტოქე იძულებული იყო მთელი ძალით შეეტია. მათ სერიოზული პრობლემები შეუქმნეს ჩვენ ნახევარდაცვას, მაგრამ ვფიქრობ, მოგებას ვიმსახურებდით, — განაცხადა ანჩელოტიმ.

მერსისაიდელთა მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი თვლის, რომ მიუხედავად უკვე სოლიდური ჩამორჩენისა, მისი გუნდის საჩემპიონო რბოლიდან ჩამოწერა ჯერ ნაადრევია და „ლივერპული" თავის სიტყვას კიდევ იტყვის მიმდინარე სეზონში.

— ნუ ჩამოწერთ ჯერ „ლივერპულს" საჩემპიონო რბოლიდან. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას და დარწმუნებული ვარ, მივაგნებთ გზას ტიტულის მოსაპოვებლად. „ლივერპული" კარგ ფეხბურთს აჩვენებს და ძალიან ბევრ მომენტს ვქმნით მეტოქის კართან. გუნდი ყველაფერს კარგად აკეთებს, მაგრამ ასეთ დონეზე საჭიროა ჩვენი შანსი უკეთ გამოვიყენოთ. დაცვის ხაზი უკეთ თამაშობდა, მაგრამ უმნიშვნელო შეცდომები დაუშვა, ისეთი დონის გუნდი კი როგორიც „ჩელსია", სწორედ ამ უმნიშვნელო შეცდომებს არ გაპატიებს. აი, პირველ ტაიმში ფერნანდო ტორესს რომ გაეტანა ის ბურთი, დარწმუნებული ვარ, სხვაგვარად დასრულდებოდა მატჩი, — თვლის ესპანელი სპეციალისტი.

„მანჩესტერმა" კი საკუთარ მოედანზე მოულოდნელად ფრედ, 2:2 ითამაშა „სანდერლენდთან". მეტიც, სანდერლენდელებს ბოლო წუთზე საკუთარ კარში რომ არ გაეტანათ ბურთი „მანჩესტერი" სულაც უქულოდ დარჩებოდა. მანკუნიანცელთა მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი კი უკმაყოფილო იყო მსაჯების მოქმედებით და მთავარი მსაჯი ალან უაილი ცუდ ფიზიკურ მომზადებაშიც დაადანაშაულა.

მსაჯების მიმართ კრიტიკულ გამოსვლებს კი ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია არავის პატიობს და უახლოეს დღეებში სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მისი საკითხის განხილვას აპირებს. ეს ყველაფერი კი ან სიტყვიერი გაფრთხილებით დასრულდება, თუმცა, არც ფერგიუსონის დისკვალიფიკაციაა გამორიცხული.

# ლა ლიგამ ნორჩი გოლი დააფიქსირა

ესპანეთის ჩემპიონატის ტურის ცენტრალური მატჩი სევილიაში გაიმართა, სადაც მადრიდის „რეალი" სტუმრობდა. „სამეფო კლუბი" ქულადაუკარგავად ჩავიდა სევილიაში და ერთბაშად 3 დაკარგა — „სევილიამ" მატჩი 2:1 მოიგო. მადრიდელებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი კრიშტინუ რონალდუ აკლდათ და როგორც ჩანს, ვასკვლავების სიჭარბის მიუხედავად პორტუგალიელი ფეხბურთელი გუნდისთვის ძალიან საჭირო ყოფილა.

მადრიდელთა მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ „სევილიას" მოგებას დამსახურებული უწოდა და გუნდის მიერ დაშვებულ შეცდომებზე დაიჩივლა, რომელსაც შეეძლო „რეალი" გამანადგურებელ ანგარიშამდე მიეყვანა.

— „სევილია" შესანიშნავად გამოიყურება და დამსახურებულად გაიმარჯვა. მართალია, ბოლომდე გვქონდა შანსი ანგარიში გაგვეთანაბრებინა, მაგრამ შედეგი კანონზომიერი იყო. ახლა მთავარია ცხრილის ზედა ნაწილში ვიმყოფებოდეთ, რადგან არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. გუნდმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა — გარდა იმისა, რომ 2 გოლი გავუშვით, ორჯერ იკერ კასილიასმა აშკარა გოლისგან გვიხსნა. სწორედ დაცვაში დაშვებული შეცდომების გამო წავაგეთ. უფრო მეტად ის მაშფოთებს, რომ ორივე გოლი დაბალმა ფეხბურთელებმა გაგვიტანეს. რაც შეეხება რონალდუს არყოფნას. მართალია, ის გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია, მაგრამ გუნდი ისე არის ფორმირებული, რომ მისი დანაკლისი უნდა აიტანოს, მაგრამ სწორედ ეს ვერ მოახერხეს და შედეგიც სახეზეა, — განაცხადა პელეგრინიმ.

ესპანეთის ჩემპიონატში ქულადაუკარგავი მხოლოდ „ბარსელონა" დარჩა, რომელმაც 1:0 დაამარცხა „ალმერია", ხოლო სევილიელები ამ მოგებით „რეალს" გაუთანაბრდა.

ესპანეთის ჩემპიონატში აღსანიშნი კიდევ ის არის, რომ „ბილბაოს" ფეხბურთელი იკერ მუნიაინი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ლა ლიგაში გოლი გაიტანა მუნიაინმა „ვალიადოლიდთან" მატჩში ანგარიში 77-ე წუთზე გაათანაბრა (2:2) და ამ დროისთვის ფეხბურთელი 16 წლის და 289 დღის იყო. მუნიაინმა „ლევანტეს" ფეხბურთელის — ხისკო ნადალის რეკორდი დაამხო.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ბლექბერნი | 6:2 |
| ვესტ ჰემი-ფულემი | 2:2 |
| ევერტონი-სიტი | 1:1 |
| ჩელსი-ლივერპული | 2:0 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატალანტა-მილანი | 1:1 |
| ბოლონია-ჯენოა | 1:3 |
| კალიარი-კიევო | 1:2 |
| რომა-ნაპოლი | 2:1 |
| სამპდორია-პარმა | 1:1 |
| სიენა-ლივორნო | 0:0 |
| ფიორენტინა-ლაციო | 0:0 |
| პალერმო-იუვენტუსი | 2:0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-ბილბაო | 2:2 |
| ვილეარეალი-ესპანიოლი | 0:0 |
| ხიხონი-მალიორკა | 4:1 |
| ხერესი-მალაგა | 1:1 |
| ხეტაფე-ოსასუნა | 2:1 |
| რასინგი-ვალენსია | 0:1 |
| სევილია-რეალი | 2:1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რაიო-ბეტისი | 2:2 |
| ალბასეტე-კადისი | 0:1 |
| კორდობა-ლას პალმასი | 1:0 |
| ნუმანსია-სოსიედადი | 1:3 |
| სალამანკა-ტარაგონა | 1:0 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| შტუტგარტი-ვერდერი | 0:2 |
| ჰერტა-ჰამბურგი | 1:3 |

**საფრანგეთი. I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბულონი-ლილი | 2:3 |
| ტულუზა-ლორიენი | 0:1 |
| მარსელი-მონაკო | 1:2 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაგა-სეტუბალი | 2:0 |
| ლეიშეოში-ლეირია | 3:2 |
| სპორტინგი-ბელენენსეში | 0:0 |
| ოლანენსე-პორტუ | 0:3 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

| | |
|---|---|
| უტრეხტი-პსვ | 0:0 |
| ჰერენვენი-ვენლო | 1:1 |
| ჰერაკლესი-ტვენტე | 1:3 |

**ბელგია. პრო ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრიუგე-ანდერლეხტი | 4:2 |
| სტანდარდი-გენკი | 1:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| შტურმი-კაფენბერგი | 0:0 |
| აუსტრია-მატესბურგი | 1:0 |
| ზალცბურგი-კარტნენი | 7:1 |
| ნოიშტადი-რაპიდი | 0:4 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ბაზელი-სიონი | 5:0 |
| ბელინცონა-ციურიხი | 3:2 |
| იან ბოიზი-არაუ | 4:0 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სივასი-ანთალია | 2:0 |
| ერჩიესი-ქაისერი | 0:1 |
| ანკარაგიუჯიუ-გალათასარაი | 3:0 |
| ფენერბახჩე-გენჩლერი | 3:0 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-ყუბანი | 4:0 |
| ზენიტი-დინამო | 2:1 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ბუდეიოვიცე-კლადნო | 0:0 |
| ბოჰემიანსი-ბოჰემიანსი 1905 | 0:0 |
| იაბლონეცი-ბოლესლავი | 1:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასი**

| | |
|---|---|
| არკა-ლეხი | 1:1 |
| პოლონია-პიასტი | 0:2 |

**დანია. სასლიგა**

| | |
|---|---|
| რანდერსი-სილკებორგი | 1:2 |
| მიდტიულანდი-კიოგე | 2:1 |
| კოპენჰაგენი-ესბიერგი | 2:1 |
| ბრონდბიუ-ნორდსიელანდი | 6:3 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-ლინი | 2:1 |
| ალესუნდი-სანდერფიორდი | 1:1 |
| სტაბეკი-ფრედრიკსტადი | 2:1 |
| ტრომსო-ბრანი | 0:2 |
| რუსენბორგი-სტარტი | 2:3 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ჰამარბი-ბრომაპოიკარნა | 1:0 |
| ჰელსინბორგი-ჰეკენი | 1:0 |
| ევლე-ჰალმშტადი | 1:0 |
| ერებრო-მალმიო | 0:3 |
| ელფსბორგი-აეკ | 0:0 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ინტერი-ჰიკ | 1:1 |
| მარიეჰამნი-ჯჯკ | 3:1 |
| მიუპა-ტამპერე | 2:2 |
| კუუპიო-ვაასა | 3:3 |
| ჰონკა-როვანიემი | 9:0 |
| იარო-ჰაკა | 1:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ჰიუსტონი-კანზასი | 1:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გოიასი-ბოტაფოგო | 1:3 |
| გრემიო-რესიფე | 3:3 |
| სანტოსი-პალმეირასი | 1:3 |
| ავაი-კრუზეირო | 2:2 |
| კურიტიბა-ინტერნასიონალი | 2:0 |
| ფლამენგო-ფლუმინენსე | 2:0 |

**არგენტინა. პრიმერა**

| | |
|---|---|
| ხიმნასია(ლპ)-ჩაკარიტა | 2:0 |
| სან ლორენსო-რივერ პლეიტი | 2:1 |
| ბოკა-ველეჟი | 3:2 |
| ლანუსი-გოდოი | 1:0 |

### კალათბურთი

**იტალია. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| მონტეპასკი-ვირტუსი | 87:65 |

### ფრენბურთი

**ევროპის ჩემპიონატი. ქალები**

| | |
|---|---|
| პოლონეთი-გერმანია | 3:0 |
| იტალია-ჰოლანდია | 3:0 |

**აზიის ჩემპიონატი. კაცები**

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| ს.კორეა-ირანი | 2:3 |
| ჩინეთი-იაპონია | 2:3 |

### ჩოგბურთი

**ტოკიო. ატპ. ჰარდი**

| | |
|---|---|
| გრული-ვასაიო აგუერო | 4:6;6:4;6:2 |
| ვავრინკა-ისნერი | 6:4;6:4 |
| ჩიუდინელი-სელა | 4:6;6:1;6:4 |
| მონფილსი-ილჰანი | 6:2;6:4 |

**პეკინი. ატპ. ჰარდი**

| | |
|---|---|
| კარლოვიჩი-კოლშრაიბერი | 6:7;6:4;1:6 |
| ჯოკოვიჩი-ჰანესკუ | 6:3;7:5 |
| ბენეტო-დანიელი | 6:3;6:4 |
| რობრედო-ბეკერი | 6:2;6:1 |
| ჩილიჩი-ანდრეევი | 6:4;6:4 |

**პეკინი. ვტა. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ვესნინა-ჟინკი | 6:7;7:5;4:6 |
| ზვონარევა-კირსტეა | 6:2;6:2 |
| საფაროვა-ჯი | 6:2;6:4 |
| ერანი-გლატჩი | 6:1;6:1 |
| კირილენკო-ბონდარენკო კ. | 2:6;6:2;6:7 |
| შნიდერი-რადვანსკა!უ. | 6:4;7:5 |
| კუზნეცოვა-ჩენგი | 7:6;7:5 |
| ბენეშოვა-ჩანგი | 4:6;2:6 |
| აზარენკო-გოვორცოვა | 6:1;6:3 |
| საფინა-ვინჩი | 6:4;6:4 |
| ბარტოლი-რიბარიკოვა | 6:2;4:6;6:3 |
| პეერი-მაკაროვა | 4:6;2:6 |
| უილიამსი!ს.-კანეპი | 7:5;6:4 |
| ვოზნიაცკი-მარტინესი | 7:6;6:7;0:6 |
| დემენტიევა-გრონეფელდი | 6:4;6:0 |
| მედინა გარიგესი-ლუ | 3:6;7:5;7:5 |
| პენგი-შვედოვა | 6:2;6:3 |
| ვიკმაიერი-კლეიბანოვა | 7:5;3:6;3:6 |
| ჰანტუხოვა-სუარეს ნავარო | 7:5;6:2 |
| კინგი-ვოსკობაევა | 6:4;6:3 |
| ლისიცკი-სკიავონე | 0:6;0:6 |
| ვოზნიაკი-კორნე | 7:6;6:4 |
| პეტროვა-კუდრიავცევა | 6:1;5:7;6:2 |
| ბონდარენკო!ა.-ერანი | 6:3;6:3 |
| უილიამსი!ზ.-პავლუჩენკოვა | 6:3;1:6;4:6 |
| კუზნეცოვა-მედინა გარიგესი | 6:2;6:1 |
| საფინა-ჩანგი | 5:7;6:7 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## დღის კალენდარი
**6 ოქტომბრისთვის**



**წლის 279-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 86 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მე-18 შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.

მუცლადღება პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი. ღირსი ქსანთიპასი და პოლიქსენიასი (109); მოწამე ირაიდა ქალწულისა (დაახლ. 308); მოწამე ანდრიასი, იოანესი და ძეთა იოანესთა - პეტრესი და ანტონინესი (IX).

ღირსი დედანი: ქსანტიპა და პოლიქსენია ღვიძლი დები იყვნენ და უფლის წმიდა მოციქულთა დროს ცხოვრობდნენ. პირველად იესოს ღვთაებრივი მოძღვრების შესახებ მათ წმიდა პავლე მოციქულისგან შეიტყვეს. ორივე დამ ირწმუნა ქრისტეს რჯული. ამის შემდეგ დები ქრისტეს რჯულს ქადაგებდნენ.

წმიდა მოწამე ირაიდა ქალწული ქალაქ ალექსანდრიის მკვიდრი იყო. წარმართებმა ის ქრისტეს აღიარებისთვის შეიპყრეს და დიდი წამების შემდეგ თავი მოკვეთეს.

წმიდა მოწამენი: ანდრია, იოანე და ძენი მისნი: პეტრე და ანტონინე აფრიკაში ევნენ ქრისტეს სახელისთვის, სასტიკი მაჰმადიანი განმგებლის იბრაჰიმის დროს.

### დაიბადნენ:

1773 - ფილიპ ლუისი, საფრანგეთის მეფე. გარდაიცვალა 1850 წელს.

1871 - ზაქარია ფალიაშვილი, კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1933 წელს;

1900 - ვერიკო ანჯაფარიძე, მსახიობი. გარდაიცვალა 1987 წელს;

1932 - ზაურ ყრუაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გარდაიცვალა 1956 წელს.

1973 - თამაზ ჩუტკერაშვილი, სპორტსმენი, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში.

### მოვლენები:

1768 წელი - დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი;

1812 წელი - ნაპოლეონის არმიამ მოსკოვი დატოვა;

1889 წელი - პარიზში გაიხსნა კაბარე "მულენ რუჟი";

1915 წელი - ბულგარეთი ომში ანტანტის მხარეს ჩაება;

1918 წელი - საფრანგეთის ჯარებმა ბეირუთი გაათავისუფლეს;

1927 წელი - ნიუ იორკში პირველი ხმოვანი ფილმის პრემიერა გაიმართა.

### ღირსსახსოვარი დღე:

ეგვიპტე - შეიარაღებული ძალების დღე.

ავსტრალია - შრომის დღე.

ბარბადოსი - გაერთიანებული ერების დღე.

ლერატო - სპორტის დღე.

მედიანიუსი

# ლოთობის გამო რუსეთის მოსახლეობა 11 მილიონით შემცირდება

1993 წლის შემდეგ ალკოჰოლიზმის გამო რუსეთის მოსახლეობა 6.6 მილიონით შემცირდა, 2025 წლისათვის კი, გაეროს პროგნოზებით კიდევ 11 მილიონით შემცირდება.

გაეროს მიერ მომზადებული დოკუმენტების თანახმად, 1991 წლის შემდეგ 15-დან 54 წლამდე ასაკის რუსების სიკვდილიანობის მიზეზი ალკოჰოლის უზომოდ გამოყენება იყო.

შედეგად რუსეთში მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა 60 წელს აღწევს, რაც ევროკავშირის მოსახლეობასთან შედარებით 14 წლით ნაკლებია.

რუსეთი სიკვდილიანობით ეკვატორილი აფრიკის მაჩვენებელს უსწორდება. მაღალი სიკვდილიანობის მთავარი მიზეზია ეკონომიკური პრობლემები და მასობრივი ალკოჰოლიზმი.

გაეროს ანგარიშში ნათქვამია, რომ ალკოჰოლიზმის გამო გულ-სისხლძარღვთა და ღვიძლის დაავადებების დონის მიხედვით რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იმყოფება.

შობადობის შემცირებისა და სიკვდილიანობის ზრდის გამო მოსახლეობის კატასტროფული შემცირება ბოლო 16 წლის განმავლობაში მიგრანტების ნაკადმა რამდენადმე შეარბილა.

იმავდროულად, როგორც ანგარიშში არის ნათქვამი, მიგრანტების უმეტესობა ყოფილი სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებში მცხოვრები რუსები



იყვნენ და ამჟამად ეს პროცესი თითქმის დასრულებულია.

სპეციალისტები განსაკუთრებით კვალიფიციური მუშახელის შემცირებას აღნიშნავენ, რომელიც რუსეთიდან დასავლეთის ქვეყნებში გაედინება. შედეგად, გაეროს პროგნოზების თანახმად, ახლო მომავალში რუსეთი სამუშაო ძალის მწვავე უკმარისობის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, რაც ეკონომიკის განვითარების შემდეგ შენელებას გამოიწვევს.

დემოგრაფიული კრიზისის გადაჭრის მიზნით გაერო რუსეთს ჯანდაცვის სისტემის სრულ გადასინჯვას ურჩევს. გარდა ამისა, საჭიროა რუსების ცხოვრების წესის შეცვლა, რაც ალკოჰოლზე მოსახლეობის დამოკიდებულების შემცირებას გულისხმობს.

გარდა ამისა, ანაგრიშის ავტორების ვარაუდით, რუსეთი შობადობის შემცირებისა და სიკვდილიანობის ზრდის ზეგავლენის შერბილებას უცხოეთიდან სამუშაო ძალის ნაკადის გაზრდით შეძლებდა.

გაეროს ვარაუდით, სამუშაო ძალის ნაკლებობის კომპენსირების მიზნით რუსეთს 2025 წლამდე 15 მილიონამდე მიგრანტის მიზიდვა მართებს.

იმავდროულად, გაეროს ანგარიშში ნათქვამია, რომ ამან დაძაბულობის ზრდა შეიძლება გამოიწვიოს და ხელისუფლებს იმიგრანტების ექსპლოატაციის, დისკრიმინაციის და ძალადობის წინააღმდეგ გარკვეული ზომების მიღება მოუწევთ.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ მომავალი ათი წლის განმავლობაში რუსეთში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების რიცხვი განახევრდება და უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებს სტუდენტებისათვის ბრძოლა მოუწევთ.

ყოველივე ეს განათლების ხარისხის და მოსახლეობის პროფესიული დონის შემცირებას გამოიწვევს, რაც თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდაზე ასევე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს.

**გ.თ.**

# პაკისტანში მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის ოფისი ააფეთქეს



პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში გაეროს მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის ოფისის მახლობლად თვითმკვლელის მიერ ნაღმის აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, ექვსი დაშავდა.გავრცელებული ცნობების თანახმად, დაღუპულთა შორის ერთ-ერთი უცხოელია.

გასულ კვირას პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთით, ორი თვითმკვლელის მიერ ასაფეთქებლით დამუხტული ავტომობილის აფეთქების შედეგად 16 ადამიანი დაიღუპა. მიმომხილველების თქმით, ბოლო დროს მომხდარი აფეთქებების სერია მიანიშნებს, რომ თალიბები, როგორც ჩანს, სამთავრობო ჯარების მიერ მიყენებული დარტყმების შემდეგ პოზიციებს იმაგრებენ. ადგილობრივი ტელევიზიის რეპორტაჟიდან ჩანს, რომ გაეროს საგანგებოდ დაცული შენობა კვამლის ბოლქვებში იყო გახვეული და ფანჯრები ჩაემსხვრა. აფეთქება, სავარაუდოდ, შენობის სარდაფში მოხდა. გაეროს მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამი თანამშრომელი დაიღუპა, რამდენიმე დაიჭრა, მათგან ორი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

**გ.თ.**

# „რედისონის“ შენობაზე ქართულენოვანი წარწერა განთავსდება

სასტუმრო „რედისონის“ შენობაზე ქართულენოვანი წარწერა განთავსდება.

ამის შესახებ გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა.

მისი თქმით, „რედისონის“ ადმინისტრაციისგან მათ საპასუხო წერილი მიიღეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ადმინისტაცია პარტიის მოწოდებას გაითვალისწინებს და შენობაზე ინგლისურენოვან წარწერასთან ერთად, ქართულენოვან წარწერასაც განათავსებს.

— ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ მეწარმეებსა და ყველა უცხოურ კომპანიას, რომელიც საქართველოში ბიზნესპროექტებს ახორციელებს, გაითვალისწინონ "რედისონის" მაგალითი და უცხოენოვან წარწერასთან ერთად, ქართულიც განათავსონ. საქართველოს კონსტიტუციისა და „რეკლამის შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ნებისმიერი რეკლამა უცხო ენასთან ერთად, ქართულ ენაზე უნდა იქნას შესრულებული, — განაცხადა ძიძიგურმა.

მისივე თქმით, ამ მოთხოვნას საქართველოში რეგისტრირებული არარაერთი უცხოური ბრენდი იცავს, რომლებსაც საკუთარი დასახელება ინგლისურის გარდა, ქართულ ენაზეც აქვთ მითითებული, მაგალითად, „კოკა-კოლა“, „მარიოტი“, „შერატონი“ და სხვა.

შეგახსენებთ, რომ „კონსერვატორები“ სასტუმროს შენობაზე მხოლოდ ინგლისურენოვან წარწერას აპროტესტებდნენ და მასთან ერთად ქართულენოვანი წარწერის განთავსებას კატეგორიულად მოითხოვდნენ.

**პირველი**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დარბაზის ფეხბურთი; 2. სათამაშო სახლი, კაზინო; 3. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 4. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ნოტების დასადები დახრილი დაფა როიალზე; 8. ვენესუელის დედაქალაქი; 12. აფრიკული შხამიანი ბუზი; 13. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება; 14. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 16. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 18. აბრეშუმის ჭიის თესლი; 20. ყურძნის არაყი.

**თარაზულად:** 6. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის, სპექტაკლის დასკვნითი ნაწილი; 8. ამერიკის სტეპებში ბინადარი მგელი; 9. თბილ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული მარადმწვანე მცენარე; 10. თამბაქოში არსებული ალკალოიდი; 11. უხეშბეწვიანი გერმანული მონადირე ძაღლის ჯიში; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 19. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი; 21. საგამოფენო შენობა; 22. რაიმე საქმის ზერელედ მცოდნე; 23. გაკოტრების პირად მყოფი კომპანიების, ბანკების გადასარჩენი ღონისძიებათა სისტემა.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

ავტორევიუ

# „ბეემვე“ აშშ-ს წლის ავტომობილის მთავარი პრეტენდენტია

აშშ-ში დაიწყო კონკურსის „წლის ავტომობილი-2010“ ფინალური სტადია.მსოფლიო ავტოშოუების სეზონი დასასრულს მიუახლოვდა. მართალია, წელს ტოკიოს ავტოსალონიც გაიმართება, მაგრამ ევროპული ავტოკომპანიების უმრავლესობა ამ ავტოსალონზე მონაწილეობას არ აპირებს.

აღსანიშნავია, რომ თუ ევროპელები უპირატესობას კომპაქტურ და ეკონომიურ ავტომობილებს ანიჭებენ, ამერიკელებისთვის მთავარი მაინც გარეგნული ეფექტი და კომფორტია.

აშშ-ს „წლის ავტომობილი-2010“-ში დიდი უპირატესობით ლიდერობს „ბეემვე 335დ“, რომელიც, სავარაუდოდ, ამ კონკურსს მოიგებს კიდეც.

„ბეემვეს“ ამ მოდელმა დიდი უპირატესობით ჩამოიტოვა ისეთი კონკურენტები, როგორებიცაა „ბიუიკ ლაქროსი“, „კადილაკ ესთიესი“, „შევროლე კამარო“, „ფორდ ფუშენი“, „ფორდ ტაურუსი“, „ჰონდა ინსაითი“, „კია სოული“ და „მაზდა3-ემპიესი“.

# „მიცუბიში“ ახალ ყველგანმავალს წარადგენს

ავტოკონცერნი „მიცუბიში“ ტოკიოს საერთაშორისო ავტოსალონზე ახალ ყველგანმავალს „პიიქს-მიევ“-ს წარადგენს.

ახალ ყველგანმავალს საფუძვლად „აუთლენდერი“ დაედო, რომელსაც რედიზაინი და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. სრულწამყვანიანი ყველგანმავალი ორი 82 ცხენისძალიანი ელექტრომოტორით და 116 ცხენისძალიანი ბენზინის აგრეგატითაა აღჭურვილი. ყველგანმავალი 100 კილომეტრზე საშუალოდ 2 ლიტრ საწვავს მოიხმარს. ელექტროძრავებით მას 50 კილომეტრის დაფარვა შეუძლია. ახალმა „აუთლენდერმა“ „დრაივინგ სეფეთი საფორთის“ უსაფრთხოების სისტემა მიიღო. ყველგანმავალი ევროპულ ბაზარზე 2011 წელს გამოჩნდება.

აღსანიშნავია, რომ „მიცუბიშის“ პარალელურად ელექტროქარებზე "სუბარუ" და „ჰონდაც“ მუშაობენ.

# „ვოლვო“ ქვეითების უსაფრთხოებაზეც იზრუნებს

ავტოკომპანია „ვოლვოს“ ოფიციალური ინფორმაციით, მომავალი თაობის ავტომანქანები ქვეითების უსაფრთხოების სრულიად ახალ სისტემას მიიღებენ. კერძოდ, ამ ტექნოლოგიის დანერგვის შემდეგ, ავტომანქანა სავალ ნაწილზე მოულოდნელად გადასულ ქვეითს თავად დააფიქსირებს და თუ მძღოლი რეაქციას დააგვიანებს, "ვოლვო" თავად დაამუხრუჭებს. სისტემა უზრუნველყოფს, რომ ქვეითზე შეჯახებისას ავტომანქანის სიჩქარე 25კმ?სთ-ს არ აღემატებოდეს. უმრავლეს შემთხვევებში, დარტყმის ძალა 75 პროცენტით შემცირდება, რაც საერთო ჯამში ავარიისას ქვეითების სიკვდილიანობას 20 პროცენტიდან 85 პროცენტამდე შეამცირებს.

2010 წელს ამ სისტემას "ვოლვო ეს60" მიიღებს. ასევე, ავტომანქანა ორ რეჟიმიან რადარს და სარკეში დამონტაჟებულ კამერას მიიღებს. რადარი და კამერა მუდმივად გამოთვლიან გზაზე არსებულ მდგომარეობას. რადარი დააფიქსირებს ობიექტს, კამერა კი, იმას გამოთვლის, თუ რა ტიპის ობიექტია ავტომობილის წინ.

# რუსი „გაიშნიკები“ „ციცერონებად“ გადაიქცევიან

რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის შსს-ს საგზაო ინსპექტორების „ციცერონებად“ ქცევა სურს.

კერძოდ, რუსეთის შსს-ს გადაწყვეტილებით, საგზაო ინსპექტორები სპეციალურ კურსებს გაივლიან, რომლის დროსაც, ისინი მედიასთან ურთიერთობას ისწავლიან და ტელეკამერების აღარ შეეშინდებათ. რუსეთის მილიციის წარმომადგენლების თქმით, საგზაო ინსპექტორებმა არ იციან ჟურნალისტებთან ურთიერთობა და საკუთარ აზრებს სწორად ვერ აყალიბებენ. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რუსული მედია ავრცელებს ეპიზოდებს „გაიშნიკების“ მიერ შედგენილი ოქმებიდან.

„ბელოვის ქუჩაზე „კამაზი“ ამოტრიალდა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა; „არტიუხოვმა მიუთითა, რომ მისი მანქანიდან გაიტაცეს ნომრები, ბენზონასოსი, მავთულები და ერთი წლის წინ მოპარული ტრამბლერი და სარკე“; „მომხდარი ავარიის შედეგად, შემთხვევით არავინ არ დაღუპულა“; „მძღოლმა ივანოვმა მიუთითა, რომ მან დილით უზმოზე ასი გრამი რომიანი კარამელი შეჭამა და ამის გამო დათვრა“; „ავტომანქანის მძღოლი გონსმოუსვლელად, წინა შუშის გავლით გაქრა ავარიის ადგილიდან“; „სატვირთო ავტომობილის მძღოლმა უხეშად დაარღვია წესები: საბარგულით გადაჰყავდა ადამიანები, რომლებიც ფეხზე ისხდნენ“; „მოქალაქე რიჟიკოვა გადახტა სავალ ნაწილზე, სადაც, სამწუხაროდ, თავის ცხოვრებაში უკანასკნელად შეხვდა უცხოური მარკის მანქანას“; „კაბინიდან გადმოვარდნენ: "ზაკუსკა" ხახვის სახით, არყის ბოთლი, მის შემდეგ კი, თავად მძღოლი კუზნეცოვი“.

**მედიანიუსი**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ომლეტი; 8. გეპარდი; 9. იკაროსი; 10. არქაიკა; 12. მეტრი; 13. ინკოუ; 14. კრისტალი; 19. კატლეტი; 21. პირატი; 23. მარსო; 24. ადლერი; 25. ინფანტი; 26. პიეტიზმი.

**შვეულად:** 1. კოკაინი; 2. მერგელი; 3. ედიქტი; 4. ტრაპი; 5. პასპორტი; 7. ტრი; 11. კესონი; 15. მატრონა; 16. პასატი; 17. სინდი; 18. იმამი; 20. ტვინი; 22. ტორი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. უტა; 2. ნოკია; 3. აარე; 4. არ; 5. ბეღელი; 6. ფრი; 7. ერიკ; 8. იაბო; 9. არბატი; 10. ლი; 11. ალ; 12. არაუკარია; 13. ალეკ; 14. როდეო; 15. ოოლოგია; 16. ფასი; 17. საუნა; 18. დურბინდი; 19. კოდაი; 20. ბინოკლი; 21. ღამურა; 22. ფირმანი; 23. ისარი; 24. ლიობი; 25. მანკი; 26. ერგი; 27. არარა; 28. ნიმფა; 29. მინტაი; 30. რა; 31. მონა; 32. სიტრო; 33. კარაბინი; 34. „ფედრა“.

**სურათებზე:** ნიკოლ კიდმანი; მიქაელ ბალაკი.

# ლუკაშენკომ პუტინი მწვავედ გააკრიტიკა

ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმირ პუტინის მისამართით უპრეცედენტოდ მკვეთრი განცხადებებით გამოვიდა.

ლუკაშენკომ პუტინი რუსეთისა და ბელორუსიის სამხედრო თანამშრომლობისათვის ხელის შეშლაში, მოკავშირე სახელმწიფოში ინტეგრაციული პროცესების ჩაშლაში დაადანაშაულა.



ალსანიშნავია, რომ ამ განცხადებით ლუკაშენკო რუსეთის რეგიონული მედიის წარმომადგენლების წინაშე ჯერ კიდევ პარასკევს გამოვიდა, მაგრამ საინფორმაციო გამოშვებებში პუტინის მისამართით მისი სიტყვები არ მოხვედრილა.

ისიც უნდა ითქვას, რომ პრესამ მისი გამოსვლის დარჩენილი ნაწილი გამოაქვეყნა, კერძოდ, ის, რომ ლუკაშენკომ განაცხადა, იგი რუსეთ-ბელორუსიის მოკავშირე სახელმწიფოს პრეზიდენტობას არ ცდილობსა და კრემლში მონომახის ქუდისათვის ჩასვლას არ აპირებს.

ლუკაშენკომ აგრეთვე განაცხადა, რომ ბელორუსიამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რუსეთის გამო არ აღიარა.

მოგვიანებით გაზეთმა „კომერსანტმა" განაცხადა, რომ პარასკევს ლუკაშენკოს გამოსვლა ბელორუსიის ტელევიზიამ აჩვენა და ეთერში ბელორუსიის პრეზიდენტის სკანდალური განცხადებები გაუშვა.

გაზეთის ვარაუდით, ტელევიზია ასე ალბათ ლუკაშენკოს თანხმობით მოიქცა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბელორუსიის პრეზიდენტი რუსეთის პრემიერს შეგნებულად დაუპირისპირდა.

ალექსანდრ ლუკაშენკოს თქმით, მინსკის მიმართ ვლადიმირ პუტინის მტრული დამოკიდებულება ჯერ კიდევ 2004 წლის თებერვალში გამოვლინდა. მაშინ რუსული გაზის გაძვირებით უკმაყოფილო ბელორუსიამ რუსეთთან გაზის მიწოდების ახალ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა და „გაზპრომის" დავალიანების გადახდა დააყოვნა.

პასუხად რუსეთმა ბელორუსიას გაზის მიწოდება შეუწყვიტა და საბოლოო ჯამში მინსკს ახალი კონტრაქტის მიღება და დავალიანების დაფარვა მოუხდა.

ხუთი წლის შემდეგ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ გაზის გამორთვის გადაწყვეტილება უშუალოდ პუტინმა მიიღო.

ლუკაშენკოს აზრით, ბელორუსიის წინააღმდეგ „გაზის შეთქმულების" ორგანიზატორი პუტინი იყო. ამ გზით მან რუსეთის ბაზრიდან ბელორუსი კონკურენტები მოიშორა. ამის შემდეგ მინსკმა თავისი ტერიტორიის გავლით დასავლეთისაკენ გაზის ტრანზიტი შეაჩერა.

ამის შემდეგ პუტინმა თავად დაურეკა ლუკაშენკოს და შერიგება სთხოვა. საბოლოო ჯამში ბელორუსიამ დასავლეთისაკენ გაზსადენი გახსნა, რუსეთმა კი ბელორუსიას გაზის მიწოდება განუახლა.

ამის შემდეგ ლუკაშენკომ პუტინი ბელორუსიასთან სამხედრო თანამშრომლობის ხელის შეშლაში დაადანაშაულა, რამაც, მისი აზრით, ორი ქვეყნის უშიშროებას საფრთხე შეუქმნა.

საბუთის სახით ბელორუსიის პრეზიდენტმა 2007 წლის შემოდგომა გაიხსენა, როდესაც რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ბელორუსიაში ერთობლივ მანევრებზე დასწრება არ ინდომა. ლუკაშენკოს თქმით, რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობა მკვდარი წერტილიდან მხოლოდ დიმიტრი მედვედევის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დაიწყო.

ლუკაშენკომ გარდა ამისა, განაცხადა, რომ ვლადიმირ პუტინი ბელორუსიიდან რუსეთში იაფი და ხარისხიანი სურსათის იმპორტს ხელს უშლის. ლუკაშენკოს თქმით, ბელორუს მწარმოებლებს, რომელიც რუსეთისაგან გაზს რუს მწარმოებლებზე უფრო ძვირად იღებენ, დემპინგური ფასების დაწესება არ შეუძლიათ. მისი აზრით, რუსეთში პროდუქტებზე ფასებს შუამავლები ზრდიან და ამ საკითხის გარკვევა არის საჭირო.

ლუკაშენკოს კრიტიკის მთავარ სამიზნედ პუტინის მიერ რუსეთ-ბელორუსიის ინტეგრაციისათვის ხელის შეშლა იქცა. ლუკაშენკოს აზრით, რუსეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი საკავშირო სახელმწიფოს განვითარებას ხელს უშლის, მიუხედავად იმისა, რომ მისი შექმნის შეთანხმებას თავად მოაწერა ხელი.

პუტინის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრისთვის ლუკაშენკოს განცხადების შესახებ ცნობილია, მაგრამ იგი კომენტარის გაკეთებას არ აპირებს.

# აშშ და გაერო ირანს თანამშრომლობის მზადყოფნისათვის აქებენ

გაეროსა და აშშ-ის წარმომადგენლებმა თეირანში გაეროს ატომური ენერგიის სააგენტოს ხელმძღვანელის მოჰამედ ბარადეის ვიზიტზე ოპტიმისტური რეაგირება მოახდინეს.

ირანის წარმომადგენლებმა ამ უკანასკნელს განუცხადეს, რომ ირანის ბირთვულ ობიექტებზე გაეროს ინსპექტორებს დაუშვებდნენ.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში ჯიმ ჯონსმა განაცხადა, რომ თეირანი უკვე მზადაა მოლაპარაკებების მაგიდას მიუჯდეს.

მიმდინარე კვირას ჟენევაში გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი ქვეყნისა და გერმანიის წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა.

მოჰამედ ბარადეის თქმით, ირანი მსოფლიო საზოგადოებრიობასთან თანამშრომლობის სურვილს ამჟღავნებს და 25 ოქტომბრამდე გაეროს ინსპექტორებს ქალაქ ყუმში მშენებარე ბირთვული ობიექტის დათვალიერების ნებას დართავს.

ამ ობიექტის არსებობა ირანმა ცოტა ხნის წინ აღიარა.

ბარადეიმ აღნიშნა, რომ გაეროს ინსპექტორები შეეცდებიან დარწმუნდნენ, ყუმის ობიექტი მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

ბარადეი ირანში ვიზიტის დროს ქვეყნის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადს, გარდა ამისა, ირანის ატომური ენერგიის სააგენტოს ხელმძღვანელს ალი აქბარ სალეჰის შეხვდა. მისი ვიზიტის დროს ბირთვული ობიექტების მონახულება



არ იგეგმებოდა.

ბარადეის თქმით, ირანის წინადადებას, მისთვის ურანი რომელიმე მესამე ქვეყანამ გაამდიდროს, რამდენიმე დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

როგორც ბარადეიმ აღნიშნა, ამ საკითხის განხილვის მიზნით რუსეთის, საფრანგეთის, აშშ-ისა და ირანის წარმომადგენლები ერთმანეთს ვენაში 19 ოქტომბერს შეხვდებიან.

თეირანში ბარადეის ვიზიტი გაზეთ ნიუ იორკ თაიმსში სტატიის გამოქვეყნებას დაემთხვა, რომელშიც გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დასკვნებია მოყვანილი.

ამ სტატიის თანახმად, სავარაუდოდ, ირანს ბირთვული იარაღის დასამზადებელი ტექნოლოგია აქვს.

საიდუმლო ანგარიშში, რომლის ფრაგმენტები საერთაშორისო და სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის საიტზეც გამოქვეყნდა, გარდა ამისა, ნათქვამია, რომ აღნიშნული ინფორმაცია მიახლოებულია და დადასტურებული არ არის.

ნიუ იორკ თაიმსის თანახმად, ირანმა ბირთვული იარაღის შექმნის მიმართულებით იმაზე უფრო წინ წაიწია, ვიდრე ამას დასავლეთის ქვეყნები ვარაუდობენ.

მიუხედავად ამისა, ბარადეიმ აღნიშნული ინფორმაციის საიმედოობაში ეჭვი შეიტანა.

თეირანი კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ უფლება აქვს მშვიდობიანი მიზნებისათვის ბირთვული ტექნოლოგიები განავითაროს, მაგრამ დღემდე უცნობი გამამდიდრებელი საწარმოს არსებობის ინფორმაციამ დასავლეთში ირანის ბირთვულ გეგმებთან დაკავშირებით დაეჭვების მორიგი ტალღა გამოიწვია.

მიმდინარე კვირას ჟენევაში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ მისმა მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მეორე გამამდიდრებელ საწარმოსთან დაკავშირებით ირანი სრული თანამშრომლობისათვის არის მზად.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ხუთშაბათს თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თავის სამშვიდობო გეგმებში მსოფლიოს დარწმუნების მიზნით ირანს კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმა მოუწევს.

# ინტერპოლის ყოფილ შეფს კორუფციაში ადანაშაულებენ



ინტერპოლის ყოფილი პრეზიდენტი ჯეკი სალები, რომელიც იმავდროულად სამხრეთ აფრიკის პოლიციის უფროსიც გახდა, სასამართლოს წინაშე კორუფციის ბრალდებებით წარდგა.

თავად პოლიციელი ამტკიცებს, რომ კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია.

სელებიმ ინტერპოლის ხელმძღვანელის პოსტი ორგანიზებულ დამნაშავეობასთან კავშირის ბრალდებების წაყენების შემდეგ დატოვა.

ამ ბრალდებების თანახმად, მან მაფიისაგან 157 ათასი დოლარი მიიღო.

იოჰანესბურგიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სალების სასამართლო პროცესს სამხრეთ აფრიკის იურიდიული სისტემის შემოწმებად მიიჩნევენ.

ამ სისტემის მისამართით პრეტენზიას ხშირად გამოთქვამენ.

ჯეკი სელები მმართველი პარტიის, აფრიკის ეროვნული კონგრესის ყველაზე მაღალი წარმომადგენელია, ვისაც კორუფციის ბრალებები წაუყენეს.

მანამდე პარტიის ლიდერს ჯეიკობ ზიმას ბრალდებები გასული წლის აპრილში პრეზიდენტად არჩევამდე ცოტა ხნით ადრე მოუხსნეს.

იოჰანესბურგის უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პროცესის დროს ბრალდება შეეცდება დაამტკიცოს, რომ სელები ქრთამს ხუთი წლის განმავლობაში იღებდა.

ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტოს თანახმად, სელებიმ უსიტყოვოდ მოუსმინა ბრალდებებს და განაცხდა, რომ უდანაშაულოა.

სელებისათვის წაყენებული ბრალდების თანახმად, მას კავშირი ჰქონდა ნარკოტიკებით მოვაჭრე გლენ ალიოტისთან, რომელსაც იმავდროულად, სამთო მომპოვებელი მრეწველობის მაგნატის მკვლელობაშიც ადანაშაულებენ.

პროკურატურა ამტკიცებს, რომ გლენ ალიოტი პოლიციის უფროსს საჩუქრებსა და ქრთამებს აძლევდა და ეს უკანასკნელი ნარკოტიკებით ვაჭრობაზე თვალს ხუჭავდა.

სელები სამხრეთ აფრიკაში პოლიციის უფროსად დანიშნული პირველი შავკანიანია. იგი ყოფილი პრეზიდენტის, თაბო მბეკის მეგობარია. ამასთან, სელების კონტრაქტი ბრალდებების წაყენების მიუხედავად გაუგრძელეს.

# ამ ზამთარს ევროპას გაზზე მოთხოვნილების საკუთარი ძალებით დაკმაყოფილება შეუძლია

ევროპის გაზის სისტემების ოპერატორთა გაერთიანების ინფორმაციით, ევროკავშირს გაზზე მოთხოვნილების დამოუკიდებლად დაკმაყოფილების შესაძლებლობა აქვს, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი წლევანდელი ზამთარი ძალიან მკაცრი აღმოჩნდება.

ამ ორგანიზაციამ სპეციალური გამოკვლევის შედეგად გამოარკვია, რომ ევროპას დღე-ღამეში 39.4 გიგავატ-საათი ენერგიის გამომუშავებისა და ტრანსპორტირებისათვის საკმარისი სიმძლავრეები გააჩნია. მათგან გაზის მომპოვებელი სიმძლავრეები დღე-ღამეში 8.44 გიგავატ-საათ ენერგიის გამომუშავების შესაძლებლობას იძლევიან, თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტის სიმძლავრეები — 4.83 გიგავატ-საათს, ხოლო გაზის საცავების მოცულობა 13.19 გიგავატ-საათს შეადგენს.

ამასთან, განსაკუთრებით ცივი ზამთრის შემთხვევაშიც კი ელექტროენერგიის მოხმარება დღე-ღამეში 35.64 გიგავატ-საათს არ გადააჭარბებს, ხოლო ჩვეულებრივ კლიმატურ პირობებში კი 28.66 გიგავატ-საათს.

გამოკვლევამ ევროკავშირის 29 ქვეყანა მოიცვა, მათ შორის ის ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან. გამოკვლევა არ გავრცელდა ლატვიასა და ესტონეთზე.

როგორც გაირკვა, ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც განსაკუთრებით ცივი ზამთრის შემთხვევაში გაზით საკუთარი თავის უზრუნველყოფა არ შეუძლია, ხორვატიაა.

გაზს ევროპაში ზამთარში ფართოდ იყენებენ გასათბობად, წლის განმავლობაში კი ელექტროენერგიის მისაღებად.

როგორც ცნობილი გახდა, ევროპაში რუსული გაზის უდიდესი მომხმარებლები, უპირველეს ყოვლისა, გერმანია, იტალია, თურქეთი, 2009 წელს კონტრაქტით გათვალისწინებულ მინიმალურ რაოდენობასაც არ ითხოვენ.

შედეგად იტალიური „ენი", გერმანული „ე.ონ" და თურქული „ბოტასი" იძულებული ხდებიან პრინციპის „აიღე ან გადაიხადე" თანახმად გაზპრომს 2.8 მილიარდი დოლარი გადაუხადონ.

თურქეთი რუსეთთან გაზის მიწოდების პირობების შერბილების მიზნით მოლაპარაკებების დაწყებას აპირებს. მას „აიღე ან გადაიხადეს" პრინციპის მოქმედების შეჩერება სურს. ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, ბუნებრივი გაზის მოხმარება თურქეთში 5.4%-ით შემცირდა.

გარდა რუსეთისა, თურქეთი გაზს ირანიდანაც იღებს.

ანალოგიური პრობლემები ექმნებათ აგრეთვე გაზპრომის სხვა მსხვილ მომხმარებლებსაც. რუსული კომპანიის წარმომადგენლების თქმით, „აიღე ან გადაიხადეს" პრინციპით პირველმა ფული იტალიელებმა უნდა გადაიხადონ, შემდეგ თურქებმა, მათ გერმანელები და ფრანგები მოჰყვებიან.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ილარიონ ჭეიშვილი, შვილები ლალი, რეზო, შვილიშვილები ილიკო, ანდრია, და დალი გვარჯალაძე, სიძე ზაურ ინჯია, რძალი ნათია ქათამაძე, რძალი ეთერ კიკვაძე, ძმისშვილები მიხეილ, გია გვარჯალაძეები, მძახლები ვალერი, ელზა ქათამაძეები, მული ლეილა ჭეიშვილი, ბიძაშვილები ვლადიმერ, ნანული გვარჯალაძეები, დეიდაშვილები მაყვალა რუხაძე, მარიეტა ხარბედია, ნანა, თამაზ, გივი ტუღუშები, მამიდაშვილი თინა მგალობლიშვილი ოჯახებით იუწყებიან

**გულიკო გვარჯალაძე-ჭეიშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 6, 7 ოქტომბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 8 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: ცოტნე დადიანის ქ. 34, XV კორპუსი, ბინა 48 (მეტრო ნაძალადევის უკან).

იმნაძეების ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეზობლის

**რუსიკო ფანჯიკიძე-ელისბარაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

### სამშაბათი 6 ოქტომბერი

**08.00** ან. სერ. "პიტი და კენტროფი" **08.30** სერ. **"ჯგუფი"** **09.00** დოკ. ფილმი "ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლოებანი" **10.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **11.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ცხოვრება მშვენიერია **13.30** თოქ-შოუ "გოლი" **14.30** მოამბე ოსურ ენაზე **15.00** სერ. **"გზა ავონლეასკენ"** **16.30** ან. სერ. "პიტი და კენტროფი" **17.00** სერ. **"ზურგის ქარი"** **18.00** დოკ. ფილმი "კოლუმბიის უკანასკნელი მისია" **19.05** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **20.45** "სიზმარვიზია" **21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **22.00** ჩვენებურები **23.00** მხ. ფილმი **"წყვდიადის ქალაქი"** (12) **01.05** მხ. ფილმი **"დავიწყებული ტყუპები"** (გ)

**11.00** პარლამენტი **19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** "სიზმარვიზია" **19.40** სერ. **"ჩემი მიწა"** **20.30** დოკ. ფილმი "ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლოებანი" **21.25** სერ. **"ელიტარული უბანი"** **22.00** ცხოვრება მშვენიერია **23.00** მხ. ფილმი **"მაიკლი"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** კომედი შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** სერ. **"დონა ბარბარა"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრთხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **19.50** სერ. **"დონა ბარბარა"** **22.00** "ტი-ბი-სის" გათამაშება **22.40** ვა-ბანკი **23.15** ჯეოსტარი **00.15** პატრული **00.35** მხ. ფილმი **"ამერიკული ქორწილი"** (18) (ჯ. ბიგსი) **02.35** სერ. **"ცუდი გოგოები"**

**08.00** მულტფილმი **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"ჯეკი და ლობიოს ხე"** **15.50** მხ. ფილმი **17.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **19.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **20.20** სერ. **"ტყუპები"** **21.10** ძილისპირული **21.30** სერ. **"მარია ემილია"** **22.35** ეტალონი **23.40** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

**07.40** სერ. **"ყავა და ლუდი 2"** **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ვიქტორია"** **11.20, 12.40, 14.45** ტვ-მარკეტი **11.40** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **13.00** სერ. **"ღირსების საქმე"** **15.00** სერ. **"კლონი"** **16.00** სერ. **"ცხელი ძაღლი"** **17.35** "მისს საქართველო-2009" – დღიური **18.00** სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"ვიქტორია"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** სერ. **"ეჰ მეგობრებო"**, მე-2ს. **23.00** სერ. **"გმირები 2"** **00.00** მხ. ფილმი **"ლომის გული"** (U) (ჟ. ვან დამი) **01.55** ქრონიკა **02.10** მხ. ფილმი **"ესპანური სასტუმრო"** (12) (ო. ტატუ)

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.10** მხ. ფილმი **"მარსი იქსი"** **10.30, 19.30** სერ. **"დაშნათა დედოფალი"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.45** მხ. ფილმი **"უკანასკნელი კადრი"** **14.50** პერსონა **15.20** მხ. ფილმი **"ვერსინჟეტორიქსი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** მხ. ფილმი **"მშვენიერი უცნობი"** **00.40** მხ. ფილმი **"საზღაურის დღე"**

**ერთსულოვნება 08.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.15** ნიამორი **11.00** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ჩემი მეგობარი ნოდარი"** **13.30** კონცერტი **15.10** მულტსერ. "რედვოლი" **15.35** მხ. ფილმი **"ზოროს ნიღაბი"** მე-2ს. **17.15** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დედა ეკლესია **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** ნიამორი **19.15** დოკ. ფილმი **19.40** მხ. ფილმი **"ჩრდილი გზაზე"** **21.05** ახალი აღთქმის განმარტება **21.30** დროის ჩააწერები **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლემ. მხ. ფილმი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 6 ოქტომბრეს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-15, ღამით — 9-3,
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-24, ღამით — 11-14
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 17-23, ღამით — 2-12

## ამინდის პროგნოზი 6 ოქტომბრისთვის







ქართული ფლორის საოცრება
## „სალხინო"
უებარი წამალი

"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## მორიგი დებიუტანტი და ნაბიჯი ანტირეკორდამდე

**საქართველოს ნაკრების 10 და 14 ოქტომბრის 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე 2 მატჩს გამართავს. ჩვენები ჯერ ჩერნოგორიას, ხოლო შემდეგ ბულგარეთს ეწვევიან.**



ექტორ რაულ კუპერისთვის ამ მატჩებს მუნდიალზე მოსახვედრად არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს, მაგრამ ინტრიგად რჩება ერთი ფაქტი — მოახერხებს თუ არა საქართველოს ნაკრები ჯგუფში თუნდაც ერთი თამაშის მოგებას, თუ პირველად ისტორიაში მოგების გარეშე დაასრულებს შესარჩევ ციკლს.

კუპერი გუნდს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" დღეიდან შეკრებს და მომავალი მატჩებისთვის მზადებას დაიწყებს. 9 ოქტომბერს კი გეზს უკვე ჩერნოგორიისკენ აიღებს.

გამოძახებულ ფეხბურთელებს შორის კუპერს ერთი დანაკლისი უკვე აქვს — ტრავმის გამო გუნდს ვერ დაეხმარება დანიური „ორხუსის" ნახევარმცველი დავით დევდარიანი. დანიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „სონდერისკესკთან" (2:1) ჩვენებურმა სრულად კი ითამაშა, მაგრამ კლუბის ვებგვერდზე გამოჩნდა ინფორმაცია, რომ დევდარიანს ტრავმა აქვს და ამ მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

— დევდარიანს ტრავმის გამო ზაფხულში გარკვეული პერიოდი გაუცდა და ახლაც იგივე დაზიანება აქვს. ქართველი ფეხბურთელი სანაკრებო პაუზას გამოჯანმრთელებისთვის გამოიყენებს და ამის გამო ნაკრებს უახლოეს მატჩებში ვერ დაეხმარება, — წერია „ორხუსის" ვებგვერდზე.

დევდარიანის ტრავმის შესა-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## რუსთაველის თეატრი ახალ სეზონს პრემიერით ხსნის

**შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრი თავის რიგით 131-ე თეატრალურ სეზონს პრემიერით გახსნის. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ მაქს ფრიშის კომედია ორ მოქმედებად მორალის გარეშე განახორციელა და მას 7 ოქტომბრიდან თეატრის მოყვარულ საზოგადოებას შესთავაზებს.**



ეკა ირემაშვილი

რობერტ სტურუას ახალ სპექტაკლში „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი" რუსთაველის თეატრის სამი გენიოსი — გია ყანჩელი, გოგი ალექსი-მესხიშვილი და რობერტ სტურუა კვლავ გაერთიანდნენ.

ახალ თეატრალურ სეზონთან და პრემიერასთან დაკავშირებით თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ და კომპოზიტორმა გია ყანჩელმა ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს.

მასმედიისთვის ცნობილი გახდა, რომ ახალ თეატრალურ სეზონზე რუსთაველის თეატრი თავის ერთგულ მაყურებელს არაერთი საინტერესო სპექტაკლის პრემიერას შესთავაზებს.

რაც შეეხება უშუალოდ რობერტ სტურუას ახალ სპექტაკლს:

— ეს არის მარქს ფრიშის „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებლები", რომლის თარგმანი და სცენური ვერსია ლილი ფოფხაძესა და რობერტ სტურუას ეკუთვნით. ძალიან საინტერესო სპექტაკლია და

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 6 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

შემოქმედებითი დღეა.

**ვერძი** — ახალი წამოწყება გაამართლებს, იაქტიურეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და ახალ ამბავს მიიღებთ. გახარებული ხართ. **ლომი** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, მოსალოდნელია სხვა სიახლეც. **ქალწული** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **სასწორი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მეტი ყურადღება დაუთმეთ მას. **მერწყული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **თევზები** — რისკი არ არის გამართლებული, **გისურვებთ ბედნიერ დღეებს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ესპანეთის „ბარსელონას" პრეზიდენტი; 2. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 3. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 7. ერთი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელიც მთლიანად გარშემორტყმულია მეორე სახელმწიფოს ტერიტორიით; 9. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 13. ბრძოლის მომზადების და წარმოების თეორია და პრაქტიკა; 15. აეროპორტი ვარშავაში; 16. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 18. კუნძული, სახელმწიფო კარიბის ზღვაში.

**თარაზულად:** 4. ჩრდილო ამერიკელ ინდიელთა, ნადირის ტყავის რბილი ფეხსაცმელი; 6. ჯაშუშის ძველი სახელწოდება; 8. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე; 10. ძველი სპარსული სალიტერატურო ენა; 11. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 12. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 14. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 17. ნაქსოვი ფეხსამოსი; 19. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის" ავტორი; 21. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა; 22. ტვირთის დროებითი სათავსო ნავსადგურში, საბაჟოზე; 23. ქართული ავიაკომპანია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## იუმორი



* * *

პარიზის პოლიციის განყოფილება. გვიანი საღამო. მორიგე ფრჩხილებს იპრიალებს.

პოლიციელი შემოვარდა:

— მუსიე, კაპუცინების ბულვარზე მეძავები და გეები ჩხუბობენ.

მორიგე ფრჩილების გალამაზებას არ წყვეტს:

— იმედია, ჩვენები სჯობნიან...

* * *

— წუხელ ფეხბურთს უყურე?

— კი, ღამის სამ საათამდე.

— ფეხბურთი რომ პირველ საათზე დამთავრდა?

— სამაგიეროდ, ლუდი დამრჩა.

* * *

გინეკოლოგი ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა და ცოლს ეუბნება:

— აბა, ერთი მაჩვენე, უჩემოდ რას აკეთებდი...

* * *

როკ-მუსიკოსის ოჯახი ტელევიზორით კრიმინალურ გადაცემას უყურებს საოჯახო ძალადობის შესახებ.

ცოლმა ქმარს მკერდზე თავი მიაყრდნო.

— რა კეთილი მყევხარ. გიტარა თავში ჩემთვის არასდროს ჩაგირტყამს.

ქმარი მშვიდად პასუხობს:

— უბრალოდ, არ გახსოვს ძვირფასო...

* * *

ტიპი ექიმთან მივიდა:

— აბა, რას უჩივით?

— მთავრობას...

* * *

— ამქვეყნად ბევრი კარგი გოგონაა, მაგრამ რატომღაც ცუდები გვიზიდავენ...

გ.თ.

## ხართ თუ არა ცრუმორწმუნე

ტესტი



***1. თქვენი აზრი ადამიანზე, რომელიც საუბრისას სულ ხეზე აკაკუნებს, რომ თვალი არ ეცეს.***

ა. თუ ასე უფრო უადვილდება ცხოვრება. ბ. ჰა-ჰა-ჰა. გ. პირადად მე მშველის.

***2. რას ურჩევდით მას, ვინც შეყვარებულმა მიატოვა?***

ა. ბანქოთი მკითხაობა შველისო. ბ. თავისით გაუვლის. გ. მაგიას მიმართოს.

***3. როგორი ტიპის ადამიანებს აქვთ წარმატების მეტი შანსი?***

ა. ვისაც ბედი სწყალობს. ბ. მშვიდ, გონიერ ადამიანებს. გ. მათ, ვინც ისე იქცევა, როგორც მოეპრიანება.

***4. გჯერათ, რომ თილისმას ბედნიერება მოაქვს?***

ა. თუ ადამიანს სჯერა, მოაქვს. ბ. განა სულელი ვარ. გ. რა თქმა უნდა.

***5. თუ დათანხმდებით, რომ გიმკითხაონ.***

ა. რატომაც არა. ბ. ღმერთმა დამიფაროს. გ. ჩემი მომავალი მაინტერესებს.

***6. ხედავთ თუ არა წინასწარმეტყველურ სიზმრებს.***

ა. არ მახსოვს, ყურადღება არ მიმიქცევია. ბ. არა. გ. დროდადრო.

***7. თუ გწამთ ჰოროსკოპის წინასწარმეტყველებანი.***

ა. კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობს. ბ. რა სისულელეა. გ. რა თქმა უნდა.

***8. ვიღაც შეგიყვარდათ და გსურთ, უკეთ გაიცნოთ იგი.***

ა. ჯერ მისი ზოდიაქის ნიშანს გამოვარკვევ. ბ. როგორმე გავერკვევი. გ. მისი ხელწერის შესწავლას დავიწყებ.

**პასუხები**

**პასუხები შეაფასეთ ა — 2 ქულა. ბ. — 1 ქულა. გ. — სამი ქულა.**

**8-13 ქულა:** თქვენ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გაქვთ და არ გწამთ რაიმე ჯადოსნური ან მაგიური ძალების არსებობა, თუმცა, კარგად იცით, რომ ადამიანისათვის ჯერ ბევრი რამ არის უცნობი.

**14-19 ქულა:** ცრუმორწმუნე არ ხართ, მაგრამ გაინტერესებთ მკითხაობა ჰოროსკოპები, ქირომანტია და ასე შემდეგ.

**20-24 ქულა:** ეჭვიც არ გეპარებათ მაგიური ძალების არსებობაში და გწამთ წინასწარმეტყველებისა და მკითხაობისა.

გ.თ.

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი